№ 130

პარასკევი, 29 ივლისი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება: ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

№ 130

პარასკევი, 29 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 20 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა

ქართული დრამის ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას 31 ივლისს, დრამატიულ საზოგადოების კანტორაში დანიშნულია წლიური კრება ამხანაგობის წევრთა.

განსახილველი საგნები:

1. ამხანაგობის 1904/5 წ. სეზონის ანგარიშის განხილვა, და დამტკიცება
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება
3. ლიკვიდაცია. (3—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ იმათ წინააღმდეგ, რომლებსაც დასაფასებელი გარდასახადი ჯერ არ გადაუხდიათ და ამა წლის 1-ლ აგვისტომდე არ შემოიტანენ, ქალაქის გამგეობა იძულებული იქმნება სასტიკ ზომებს მიმართოს. 2—2

ახალი წიგნი

ეროვნული ენა

თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.

ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება".
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა", ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია".
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

შ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. მძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ს. ქ. აბიანცი—შინაგან აკადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. მძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. ул.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

წერა კითხვის საზოგადოების საყურადღებოდ

მთელ ჩვენს საზოგადოებას, როგორც კერძო, ინდივიდუალურს, ისე საერთო მოქმედებაში დღემდის ერთი და იგივე ხასიათი ჰქონდა: ყველა მოწყალების მოლოდინში იყო. მართალია, ყველას რაღაცა სურვილები ჰქონდა, მაგრამ არას დროს ეს სურვილები არ გადასცდენია „ნებადართულობის" წრეს.

ოცდა-ხუთი წელიწადია, რაც ჩვენში წერა-კითხვის საზოგადოება არსებობს. ამ საზოგადოებას საკმაოდ ფართო წესდება აქვს. მას შეუძლიან სხვადასხვა საშუალება იხმაროს ხალხში სწავლა-განათლების გასავრცელებლად. მიუხედავად ასეთის ვრცელ პროგრამისა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამ ჩვენს, თითქმის ერთად-ერთ, განმანათლებელ საზოგადოებას საკმაო უნარი გამოეჩინოს და ემუშაოს სასურველის ენერგიითა და ძლიერებით. რასაკვირველია, ამას შესაფერი მიზეზებიც აქვს. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად თვით ჩვენის საზოგადოების სიძაბუნეა დასასახელებელი. „ნასწავლი" ხალხი, რომელიც აქამდის მარტოდ მარტო მოღვაწეობდა ჩვენს დაწესებულებებში, არასდროს არ ყოფილა გაბედული და საზოგადო საქმით გატაცებული. ამ საზოგადოებაშიაც მას არავითარი შესამჩნევი შემოქმედებითი ძალა, თავის ვინაობის დაცვის სურვილი არ გამოუჩენია: სულ იმალებოდნენ, მუდამ ერიდებოდნენ აშკარად თავის მისწრაფებათა გამომჟღავნებას.

მეორე მხრით,—იმის მაგივრად, რომ საზოგადოება თავის წესდების მიხედვით განვითარებულიყო და ამ განვითარებაში არავითარი დაბრკოლება არ ენახა, საზოგადოდ, „გარეშე ძალთა" მეოხებით, მუდამ საშიშარს მდგომარეობაში იყო. რასაკვირველია, ამგვარ პირობებში ხალისით მუშაობა ძნელია. ამ ბოლო დროს საზოგადოებას არ აძლევდნენ ნებას გაეხსნა ახალი სკოლები, არც სამკითხველოს დაარსება იყო ადვილი. სამკითხველოებში ქართულ წიგნების მოთავსებაც საბრძოლველ საგნად გაუხადა საზოგადოებას ბიუროკრატიამ. ერთის სიტყვით, ყოველმხრივი შევიწროება საზოგადოებისა თანდათან იზრდებოდა, თანდათან მკაცრი ხდებოდა.

დღეს თითქო ეს მდგომარეობა ცოტაოდნად შეიცვალა; ხალხის მოძრაობამ რაოდენადმე მოშალა წინანდელი ბიუროკრატიული მუხრუჭი. ამიტომ საჭიროა, საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს შეცვლილ პირობებს, ისარგებლოს ახალ გარემოებით და მთელის ძალ-ღონით ხელი მოჰკიდოს თავის საქმეს. ახლავე საჭიროა გაიხსნას ახალი სკოლები. ამასთანავე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ძველი პროგრამა დღეს არავის დააკმაყოფილებს და იგი ძირიანად უნდა შეიცვალოს. ყველა ამისთვის კი საჭიროა მხნეობა და ენერგიული მუშაობა. ახალი ცხოვრება ახალ მოქმედებას მოითხოვს...

X.

რა გზას უნდა დაადგეს სამღვდელოება?

გამდიდრებული და გალაღებული ბატონები ფუფუნებაში, ქეიფსა და სრულს განცხრომაში ატარებენ თავის სიცოცხლეს; ოღონდ კი რამე მონატრებოდა მათ გულსა და, მილიონებიც რომ დახარჯულიყო ამისათვის, მათს შეძლებას ამით არაფერი დააკლდებოდა. ხალხი კი, დამონავებული, დაჩაგრული, ხალხი მძიმე ტვირთ-ქვეშ კვნესოდა, კვნესაში ატარებდა თავის სიცოცხლეს, რომელიც თავიდან ბოლომდე მხოლოდ მონობის, ტანჯვისა და სილატაკის ჯაჭვს წარმოადგენდა.

ამ დროს გაისმა დიდებულ მქადაგებელის დიდებული სიტყვები: მოდით ჩემთან, ყველა ტანჯულნო და დაჩაგრულნო, და მე მოგიფონებთო. ეს ხმა, ეს ქადაგება ჩვეულებრივი არ იყო. ტანჯულ ხალხს არაოდეს არ ენახა ამგვარი მქადაგებელი, არაოდეს არ გაეგონა ასეთი ხმა, არასოდეს არ მოესმინა ამგვარი სიტყვები: ტანჯულნო და დაჩაგრულნო, ჩემს გარშემო შემოიკრიბენითო, და ტანჯულებმაც იწყეს გრიალი მქადაგებლისაკენ; მსმენელთა რიცხვი დღითი-დღე მრავლდებოდა. ის ქადაგებდა, რომ ქვეყანა ჯოჯოხეთი იყო, ცხოვრება გახრწნილი და ბოროტებით სავსე. ის ქადაგებდა: ქვეყნად ადამიანთა ბედნიერებისათვის საჭიროა სამოთხის დაარსება, და სამოთხე მხოლოდ მაშინ დამყარდება, თუ ყველა მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი შეიკრიბებიან, შეერთდებიან, შეიყვარებენ ერთმანეთს და ცხოვრებას გასწმენდენო.

ბატონები, დამჩაგვრელები, ხალხის მტრები შეძრწუნდნენ: ჩვენს ბატონობას ბოლო მოეღება, თუ მართლა ყველა ტანჯულ-დაჩაგრულნი შეერთდნენ და შეგნებით აღიჭურვნენო,—შეიპყრეს მქადაგებელი და მოჰკლეს. მაგრამ მქადაგებელმა დატოვა მოწაფეები, მას იმედი ჰქონდა, რომ იმის დაწყებულ საქმეს სხვები განაგრძობდნენ და, როცა იქნებოდა, დამყარდებოდა, ქვეყნად სამოთხე.

ვის უნდა განეგრძო მქადაგებელის-მიერ დაწყებული საქმე?

ვის და—ვინც ამ საქმის გაგრძელება კისრად იდვა, თავის პირდაპირ მოვალეობად გაიხადა. ეს იყო—სამღვდელოება. სამღვდელოება უნდა ყოფილიყო ძმოველი და პირველი მოსარჩლე ყველა დაჩაგრულისა და ტანჯულისა, სამღვდელოებას უნდა შეეკრიბა ხალხის დაჩაგრული ნაწილი, ამდგომოდა მას გვერდში, გადაექცია ის გაერთიანებულ, შეგნებულ ძალად და დაემყარებინა ქვეყნად ის სამოთხე, რომლისკენაც იწვევდა ხალხს მქადაგებელი.

როგორ მოიქცა სამღვდელოება ნამდვილად?

ხალხი თანდათან გროვდებოდა, თანდათან ერთდებოდა; სამღვდელოებას ამით ძალა და გავლენა ემატებოდა და, როდესაც მან საკმაოდ მოიპოვა ძალა, თავის-თავი ბატონად გამოაცხადა და იმ ხალხს, რომელიც მას უნდა გაენთავისუფლებინა მონობის მძიმე ტვირთისაგან, თვითონვე დააჯდა კისერზე. იმ ტანჯულებსა და ჩაგრულებს, რომლებისთვისაც მას უნდა მოეპოვებინა სიხარული და ბედნიერება, თვითონვე დაუწყო ტანჯვა და წვალება; იმ დამჩაგვრელებს, რომელთა წინააღმდეგაც მას უნდა წაეყვანა ხალხი, თვითონვე ამოუდგა გვერდში და დაუწყო სასტიკად დევნა ყველა მათ, ვინც ხალხის შეგნებას, ხალხის კეთილ-დღეობას ემსახურებოდა. ამით სამღვდელოებამ თვითონვე ჰკრა ხელი იმ სამოთხეს, რომლის დასამყარებლადაც შრომა და მოქმედება მას მქადაგებელმა უანდერძა, თვითონვე დაემონავა ეშმაკს და შეუწყო ხელი ქვეყნად ჯოჯოხეთის განმტკიცებას. სამღვდელოებამ ევროპაში ყველაფერი თავის ხელში ჩაიგდო, ყველაფერზე გაბატონდა; ხალხის განათლება, ხალხის შეგნება, ცხოვრების წინმსვლელობა სრულებით შეაფერხა; ყოველგვარ თავისუფლებას, როგორც აზრისას, ისე მოქმედებისას, ისეთი ბორკილები დაადვა, როგორიც მანამდე სიზმრადაც კი არავის ზმანებოდა; ისე დაიმონავა ყველა, რომ მეფეებიც კი ძრწოდნენ შიშით.

ყოველგვარ ძალმომრეობას, ყოველგვარ უსამართლობას, ადრე თუ გვიან, მოეღება ხოლმე ბოლო. სამღვდელოებამაც დაჰკარგა ნელ-ნელა თავისი ძალა და გავლენა,—ის თანდათან დასუსტდა, მაგრამ ხალხი მაინც არ განთავისუფლებულა,—ტანჯულებს და დაჩაგრულებს სხვა ბატონი დააჯდა კისერზე, სამღვდელოების ნაცვლად. ეს დრო საუკეთესო დრო იყო, რომ სამღვდელოებას თავისი შეცდომა შეეგნო, თავისი დანაშაული თვითონვე გაესწორებინა და ისევ ხალხს ამოსდგომოდა გვერდში, მაგრამ ბატონობას შეჩვეულმა სამღვდელოებამ ისევ ახალ ბატონს მიმართა. მან იფიქრა: ბატონი თუ აღარ ვიქნები დღეიდან, ბატონის გვერდით მაინც დავბინავდები და ბატონის წყალობას დავიმსახურებო. სამღვდელოება მტკიცედ დაადგა ამ გზას. მან უარჰყო ხალხი და შეუდგა ბატონის სამსახურს. რადგანაც ბატონისა და ხალხის ინტერესი ძირიანად ეწინააღმდეგება ერთი-მეორეს, სამღვდელოებაც მთელის თავის მოქმედებით ძირიანად ეწინააღმდეგებოდა ტანჯულისა და დაჩაგრულის ხალხის განთავისუფლებასა და კეთილდღეობას.

ამ გზას ადგია დღესაც სამღვდელოება. ის მონაა ბიუროკრატიისა და მისი მარჯვენა ხელი, ის ასრულებს ბიუროკრატიის ყველა მდაბალ სურვილებს; ბიუროკრატიასთან ერთად ის წინ ეღობება ხალხის გამოფხიზლებას, ხალხის შეგნებას, ხალხის განთავისუფლებასა და კეთილდღეობას. სამღვდელოების ისტორია გულსაკლავი ისტორიაა. სამღვდელოება ატარებს სახელს უდიდეს მქადაგებლისას, თითქო მისი მიმდევარია, ნამდვილად კი მთელის თავის მოქმედებით სამღვდელოება უარჰყოფს ყველა იმ აზრებს, რომელსაც მქადაგებელი ტანჯულ ხალხის საკეთილდღეოდ ჰქადაგებდა. ხალხი გამოფხიზლდა, თვალები გაახილა, დაინახა ყოველივე ეს, გადაუდგა სამღვდელოებას და ის თავის მტრად გამოაცხადა. სამღვდელოება შეშინდა, ის ხსნას ელის. სად არის სამღვდელოების ხსნა?

ვიდრე ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, საჭიროა ჯერ ეს ვიკითხოთ: უნდა თუ არა თვით ხალხს სამღვდელოება?

ის აზრი, ვითომ ხალხი სამღვდელოებას გასდგომოდეს, ბევრს შემცდარ აზრად მიაჩნია: ხალხს უყვარსო სამღვდელოება, ამგვარ ჭორებს მხოლოდ სხვადასხვა მავნე პირები ავრცელებენ, თორემ გლეხს არ უთქვამს და არც იტყვის: მღვდელი მან შეინახოს, ვისაც სურსო. დაიარეთ ჩვენი სოფლები და დარწმუნდებით, რომ სამღვდელოებამ ხალხის თვალში ნდობა და სიყვარული დაჰკარგა. ამის მიზეზი არც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი მღვდლები ბუნებით ცუდი ადამიანები არიან, არც იმაში, ვითომ ხალხს სარწმუნოებრივი გრძნობა დაეკარგოს. ჩვენ არ ვიცით არც ერთი კულტურული ერი, რომელიც სარწმუნოებრივ გრძნობას მოკლებული იყოს; ჩვენ არ ვიცით არც ერთი ერი დედამიწის ზურგზე, რომელსაც რაიმე წარმოდგენა არა ჰქონდეს საიქიოზე და უზენაეს არსებაზე. მე მრწამს, რომ მომავალში კაცობრიობა და მასთან ერთად ქართველი ერიც მივა იმ შეგნებამდე, რომ ადამიანისათვის ყველაფერი აქ იწყება—დედა-მიწის ზურგზე—და აქვე თავდება, მაგრამ დღეს-დღეობით არც კაცობრიობა, არც ქართველი ერი ამგვარ შეგნებამდე არ მისულა. დღეს ქართველ ერის ერთ ნაწილს სარწმუნოებრივი გრძნობა აქვს და ამიტომ სამღვდელოების არსებობასაც საფუძველი აქვს.

აქედან ცხადია, რომ ხალხს უნდა სამღვდელოება, ხოლო მას არ უნდა იმგვარი სამღვდელოება, როგორიც დღეს არსებობს. ხალხს უნდა სამღვდელოება, ქრისტეს მცნების მტკიცედ აღმასრულებელი,—დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამღვდელოება, დაჩაგრულისა და გაჭირვებულის ქომაგი, დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამღვდელოება, სიმართლისა და სამართლიანობისათვის თავგამოდებული, დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამღვდელოება, ყოველგვარ ძალმომრეობისა და ბატონობის მტერი, დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის; ხალხს უნდა სამღვდელოება თავისუფლებისა და თანასწორობის მოყვარული, დღევანდელი სამღვდელოება კი ამგვარი არ არის. ერთის სიტყვით, ხალხს უნდა იმგვარი სამღვდელოება, რომელიც ხალხს უდგეს გვერდში და მხოლოდ ხალხს ემსახურებოდეს, მხოლოდ ხალხის ინტერესებს იცავდეს.

ყოველსავე ამას სამღვდელოება შესძლებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის თავისუფალი და სრულებით დამოუკიდებელი გახდება. დღევანდელი სამღვდელოება ბიუროკრატიის მონა და მოსამსახურეა; ის ხალხს კი არ ემსახურება, არამედ ბიუროკრატიას, და სწორედ აქ არის მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ხალხსა და სამღვდელოებას შუა ხიდი ჩატეხილია. სამღვდელოების განთავისუფლება შეუძლებელია ისე, თუ მთელი ხალხი არ განთავისუფლდა, თუ არსებული რეჟიმი მთლად არ შეიცვალა. დამოუკიდებლობაც რომ მოიპოვოს სამღვდელოებამ, არსებულ პირობებში ის ვერაფერს ვერ გააკეთებს ხალხის საკეთილდღეოდ, რადგან იმის ყოველგვარ მოქმედებას, ხალხის ბედნიერებისაკენ მიმართულს, ბიუროკრატია ყოველთვის ფრთებს შეაკვეცს. სამღვდელოების საკითხი მთელის ხალხის საკითხია და ცალკე მისი გადაწყვეტა შეუძლებელია; შეუძლებელია რაიმე საშუალებით სამღვდელოების აღდგენა ხალხის თვალში ისე, თუ არსებული რეჟიმი არ შეიცვალა.

ამიტომ დროა, სამღვდელოება ხალხს ამოუდგეს გვერდში, ხალხს დაეხმაროს მთელის თავის ძალღონით ბიუროკრატიის დამარცხებაში; ამით აღადგენს იგი თავის სახელს და მოიპოვებს შესაფერ ადგილს ხალხის ცხოვრებაში. ამგვარ მოქმედების გარეშე კი ყოველი სხვა გზა ამაო და ტყუილი იქმნება და სამღვდელოებას ვერ მიიყვანს საწადელ მიზნამდე.

ი. გომართელი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

27 ივლისი.

პეტერბურგი, 27 ივლისი. „მთავრობის მოამბე"-ში დაბეჭდილია აღებ-მიცემობისა და სასოფლო მეურნეობის წარმომადგენელთა კრების ანგარიში. სახელმწიფო საბჭომ, მრეწველობისა, მეცნიერებისა აღებ-მიცემობისა, კანონებისა და სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტთა საერთო კრებაზე, განიხილა უმაღლესად დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობისა და საბირჟო აღებ-მიცემობის წარმომადგენელთა კრების მოსაზრებანი და დაადგინა: I) საბირჟო აღებ-მიცემობისა და სასოფლო მეურნეობის შესახებ შემდეგი დებულებანი მიიღოს: 1) შინა ვაჭრობისა და გარეშე აღებ-მიცემობის საჭიროებათა გამოსაკვლევად გამართულ იქმნეს ხოლმე სრულიად-რუსეთისა და ადგილობრივი კრებები აღებ-მიცემობისა და სასოფლო მეურნეობის წარმომადგენელთა; 2) ადგილობრივი კრებები განიყოფება: საზოგადოდ, საბირჟოდ, ხორბლეულობის მოვაჭრეთა და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგების წარმომადგენელთა კრებებად; 3) ადგილობრივი კრებები გაიმართება იმ ქალაქებში, სადაც საბირჟო კომიტეტები არსებობს; 4) სრულიად რუსეთის კრებები ორგვარი უნდა იყოს: **მორიგი** კრებები, რომელიც წინა კრების დადგენილების თანახმად მოხდება, თუ ფინანსთა მინისტრის მხრივ დაბრკოლება არ აღმოჩნდა, და **საგანგებო,** რომელიც გამოწვეულ იქმნება რაიმე საგანგებო, განსაკუთრებულ შემთხვევით თუ გარემოებით. ყოველ კერძო შემთხვევაში კრების ნება-რთვას ფინანსთა მინისტრი აძლევს. კრების მოწვევის უფლება ენიჭებათ სრულიად რუსეთის მუდმივს საბჭოსა და იმ ქალაქების საბირჟო კომიტეტებს, სადაც იკრიბებიან ხოლმე; 5) აღებ-მიცემობის საჭიროებათა გამო კრებებს უფლება აქვთ სათანადო დაწესებულებაში შუამდგომლობა აღძრან ხოლმე და მიწერ-მოწერა იქონიონ მთავრობის თუ საზოგადოებრივ დაწესებულებასთან; 6) სრულიად-რუსეთის კრებაზე ხმის უფლება ენიჭებათ: ა) საბირჟო კომიტეტების-მიერ ამორჩეულ საბირჟო საზოგადოების თითო წარმომადგენელთ, ბ) ადგილობრივ კრებების თავმჯდომარეთ და მის საბჭოს და, გ) იმ საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეს, სადაც კრებაა გამართული. 7) სრულიად-რუსეთის კრებაზე, ხორბლეულით ვაჭრობისა და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგის შესახებ საკითხების განხილვის დროს, აღნიშნულ პირთ გარდა, დაესწრებიან და წევრის უფლებით ისარგებლებენ ადგილობრივ განსაკუთრებულ კრებათა წევრები, თვითოეულ კრებიდან—სამნი. ამ წევრებს ირჩევენ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, ამხანაგობათა და კავშირების წარმომადგენელნი, აგრეთვე ერობის დაწესებულებანი, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი, ამხანაგობანი და კავშირები იმ ქალაქისა, სადაც გაიმართება სრულიად-რუსეთის კრება—ყველა აღნიშნულ დაწესებულებიდან თითო; 8) საზოგადო და ადგილობრივს კრებებზე წევრობის ხმის უფლებით სარგებლობენ: ა) კრების რაიონში არსებულ საბირჟო კომიტეტების-მიერ არჩეულნი პირნი—თითო კომიტეტიდან სამ-სამი, ბ) თავმჯდომარე და სამი წევრი მუდმივ საბჭოსი ან იმ საბირჟო კომიტეტისა, რომელიც იწვევს კრებას; 9) ადგილობრივს განსაკუთრებულ კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობენ: ა) იმ რაიონის, სადაც კრებაა დანიშნული, საბირჟო კომიტეტის-მიერ ამორჩეული წევრნი სავაჭრო საზოგადოებისა, რომელიც ხორბლეულით ვაჭრობს, ან მეურნეობის სხვა დარგს განაგებს—თითო კომიტეტიდან სამ-სამი; ბ) თავმჯდომარე და სამი წევრი მუდმივის საბჭოსი ან იმ საბირჟო კომიტეტისა, რომელიც კრებას იწვევს; გ) კრების გასამართავ რაიონის სამეურნეო საზოგადოებისა, ამხანაგობისა და კავშირების წარმომადგენელნი, თითო გუბერნიიდან ორ-ორი, იმ გუბერნიების წარმომადგენელნი, სადაც ჯერ არ შემოუღიათ საგუბერნიო და სამაზრო ერობა ან საერობო მეურნეობის მმართველობა—თითოდან სამ-სამი; დ) ერობის დაწესებულებათა ან ერობის სამეურნეო გამგეობის წარმომადგენელნი, თითო გუბერნიიდან—თითო, და, კრების რაიონში მოქმედი, სამეურნეო საზოგადოებათა, ამხანაგობათა და კავშირთა წარმომადგენელნი, რომელთაც თითო გუბერნია ცალკე ირჩევს, რაც შეიძლება, ყველა დასახელებულ დაწესებულებათა შეთანხმებით. საერობო დაწესებულებათა წარმომადგენელნი ამორჩეულ იქმნებიან საგუბერნიო ერობის მორიგს ან საგანგებო კრებებზე; ხოლო ერობის დაწესებულებათა წარმომადგენელნი კი სამეურნეო ნაწილის საგუბერნიო კომიტეტის მიერ; 10) ფინანსთა, მიწად მოქმედებისა, სახელმწიფო მამულებისა, შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრებს აგრეთვე საზღვაო აღებ-მიცემობის მთავარ გამგეს, ნავთსადგურების უფროსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიენიჭებათ ხმის უფლება, თუ ისინი საჭიროდ და აუცილებლად დაინახავენ თავის წარმომადგენლის გაგზავნას, თითო დაწესებულებიდან თითოს. აღნიშნულ პირთ კრებაზე მხოლოდ რჩევის მიცემის უფლება ეძლევათ; 11) სრულიად რუსეთისა თუ ადგილობრივს კრებაზე საბირჟო კომიტეტებს, რომლებიც კრებას იწვევენ, კრებათა საბჭოებს და საბჭოს თავმჯდომარეთ უფლება აქვთ, რჩევის მისაცემად, ყველა ნება-დართულ დაწესებულებათაგან,—სამრეწველოსი, რკინის-გზისა, ნავთსნობისა და სხვა გადამზიდავ დაწესებულებათა წარმომადგენელნიც მოიწვიონ, აგრეთვე საკრედიტო საზოგადოებათა წარმომადგენელნი და გარეშე პირნიც, ვისგანაც რაიმე რჩევას ან საკითხის გარკვევას მოელიან; 12) სრულიად რუსეთისა თუ ადგილობრივი კრებები იმ პირის თავმჯდომარეობით შესდგება, რომელსაც თავის შორის ირჩევენ წევრნი პირველს კრებაზე,—პირველ კრებას კი თავმჯდომარეობს, ან კრების საბჭოს, ან იმ საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც მოუწოდებს კრებას; 13) სრულიად რუსეთისა და ადგილობრივ კრების საქმეთა წარმოება მუდმივს საბჭოს ევალება; საბჭოს წევრებს ირჩევენ თავიანთ შორის. საარჩევნო ვადასა და მანდობილებს თვითონ კრება საზღვრავს; იგივე საბჭო ასრულებს გეგმის შემუშავებას, მეტადინეობისა და კრების დადგენილებათა სისრულეში მოყვანას; 14) ადგილობრივ კრებათა ყოველგვარი საქმე, გეგმის შემუშავება და კრების დადგენილებათა აღსრულება ევალება ადგილობრივ კომიტეტს, რომელიც იწვევს კრებას, ან, კრების დადგენილების თანახმად, საგანგებოდ ამისთვის შემდგარს, მუდმივს საბჭოს. ამ საბჭოს წევრებს ირჩევს კრება თავის წრიდან და წევრთა რიცხვსა თუ სამსახურის ვადას კრებავე განსაზღვრავს. საბჭოს წევრებად ჩაირიცხებიან აგრეთვე იმ ქალაქის ადგილობრივ კომიტეტის თავმჯდომარენი, სადაც კრება გაიმართება; 15) სრულიად რუსეთისა და ადგილობრივ კრებათა წევრნი თავის შორის ირჩევენ საბჭოს თავმჯდომარეს; 16) სრულიად რუსეთისა და ადგილობრივს კრებებს, მახლობელ საკითხების გასარკვევად, უფლება ეძლევათ დროებითი და მუდმივი კომისიები აირჩიონ; 17) სრულიად-რუსეთისა თუ ადგილობრივ კრებების მოსაწვევის, დადგენილებათა თუ ანგარიშთა ბეჭდვისა და ყველა საქმეების წარმოების საჭირო ხარჯები საბირჟო კომიტეტის თანხიდან დაიფარება; ამ ხარჯების ნუსხას ადგენს სათანადო კრება, რომელიც ყველა მონაწილე კომიტეტთა შორის ანაწილებს საჭირო ხარჯებს. ეს ფული და მისი ანგარიში ჩაბარებული აქვს ან საქმის გამგე საბირჟო კომიტეტს, ან კრებას; 18) სრუ-

ღიად-რუსეთისა და ადგილობრივი კრებები საქმის საწარმოვოდ შეიმუშავებენ დაწვრილებითს წესდებას, თანამდებობის პირთა არჩევანების წესს, არჩეულ პირთა მოვალეობისა და უფლების მუხლებს, აგრეთვე ხარჯების გასასტუმრებელ ფულის გაწერის წესებს. ამ წესდებას ფინანსთა მინისტრი ამტკიცებს და, საყოველთაოდ გამოსაცხადებლად, წარუდგენს უმართებულეს სენატს; 19) სრულიად-რუსეთისა და ადგილობრივ კრებების გეგმა დასამტკიცებლად ფინანსთა მინისტრს წარედგინება; 20) კრებების ანგარიშები, სარევიზიო ოქმები და კრების დადგენილებანი „სამრეწველო, საფინანსო და სავაჭრო მოამბეში“ გამოცხადდება და საბირჟო კომიტეტების დასარიგებლად ცალკე წიგნაკებადაც დაიბეჭდება; 21) კრებებისა და საბჭოების მოქმედებათა თვალყურის დევნება ფინანსთა მინისტრს ევალება.

II. პეტერბურგის საბირჟო კომიტეტს, ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით და იმ ვადაზე, რომელსაც იგი აღნიშნავს, ნება მიეცეს სრულიად-რუსეთის საბირჟო ვაჭრობისა და სასოფლო მეურნეობის წარმომადგენელთა კრება მოიწვიოს. სახელმწიფო საბჭოს ეს აზრი მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება, 1905 წ. 30 მაისს დაამტკიცა და აღსრულება ბრძანა.

პეტერბურგი, 27 ივლისი. დღეს რკინის გზების დეპარტამენტის დირექტორის თავმჯდომარეობით დაიწყო ბჭობა ნავთზე გადასახადის დაკლების შესახებ, შემდეგი სხდომა ხვალ იქნება.

სიმფეროპოლი, 27 ივლისი. აზოვის ბანკის განყოფილებაში ვიღაც ჟურჟევსკის რვაას თუმნის მიღებაზე ნდობის ქაღალდი მიუტანია, მაგრამ ქაღალდი ყალბი აღმოჩენილა. ჟურჟევსკი დაატუსაღეს.

ბერლინი, 26 ივლისი. ხორცის საშინლად გაძვირების გამო, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მეთაურები თხოულობენ, უცხოეთის საქონლის შემოსავალს გზა გაუხსნათო. ამასვე ითხოვენ სილეზიის ქალაქებიც.

კურსკი, 27 ივლისი. კაზაცკაია სლობოდკაში გაძარცვეს ეკლესია. წაიღეს პარჩამ-ფეშხუმი, ჯვრები, ფული და სხვა ძვირფასი ნივთები. ეკლესიის დარაჯი მოჰკლეს.

ვარშავა, 27 ივლისი. „ვარშავსკი დნევნიკ“-ის სიტყვით, სამხედრო სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც დავით ხილ კრაუზეს სიკვდილით დასჯა ჰქონდა გარდაწყვეტილი, 23 ივლისს სისრულეში მოიყვანეს.

ჰელსინგფორსი, 27 ივლისი. სენატს უმაღლესად ებრძანა, ფინლანდიაში პრესის თავისუფლების შემოღების შესახებ, ერობის პეტიციის გამო, თავისი აზრი წარმოადგინოს.

კრემენჩუგი, 27 ივლისი. ღენტმანი შუამდგომლობს, ნება მიეცეს, გამოსცეს კრემენჩუგში ყოველდღიური გაზეთი „იუჟნოე ოტგოლოსკი“.

ხარკოვი, 27 ივლისი. უნივერსიტეტში შეტანილია მეორე კურსზე გადაყვანის შესახებ 300 თხოვნა და სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ—250, მათ შორის 60 ებრაელია.

ჟიტომირი, 27 ივლისი. ვაჟების პირველ გიმნაზიაში სწავლება პოლონურ ენაზე იქმნება. მზრუნველის შეკითხვაზე, დირექტორმა თანხმობა გამოაცხადა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

27 ივლისი

პორტსმუტი, 26 ივლისი (ტაიმსი). ზოგიერთს უნდოდა, რომ კონფერენციაზე თავმჯდომარეობა რუზველტს ეკისრნა მაგრამ, ეს შეუძლებელია. მეორე დაბრკოლება ის არის, რომ კომურა და ტაკახირა ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ და ფრანგული სრულიად არ იციან, ვიტტე კი ფრანგულ ენაზე ლაპარაკობს და ინგლისური არ იცის. ამას გარდა, არ იციან, წეს-რიგს ვინ ჩამოაგდებს და მოლაპარაკებას რა გვარად შეუდგებიან, მოლაპარაკებას პირველად ვინ დაიწყებს. რუსები და იაპონელები მხოლოდ ერთში არიან თანახმანი, რომ კონფერენცია არავითარმა ტეხნიკურმა დაბრკოლებამ არ უნდა შეაჩეროს. არც ერთი მხარე ზავის ჩაჩამოგდებას აუცილებლად არა სთვლის, მაგრამ ორივენი სასურველად სცნობენ.

პორტსმუტი, 27 ივლისი. ზავის კონფერენციის დღევანდელ სხდომას, რომელიც დაიწყება დილის 10 საათზე, დაესწრება მხოლოდ ოთხი რწმუნებული. შესაძლებელია, რომ ორივე მხარემ მდივნები მოიწვიოს. დღევანდელ სხდომაზე გამოარკვევენ, ვის რა მინდობილობა აქვს, და თათბირი ექმნებათ, რა ენაზე ილაპარაკონ. ჰფიქრობენ, თათბირის დროს რუსის საელჩოსა და იპონიის მისსიის ატაშეებსაც მიწვევენო. იმედი აქვთ, რომ პირველადვე შეეტყობა, რწმუნებულნი შეთანხმდებიან თუ არა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებიან ზავის შესახებ საკითხების დაწვრილებით განხილვას. სანამ ზავი ჩამოვარდება და ხელშეკრულობას ხელს მოაწერენ, გაივლის ხუთი კვირა მაინც.

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. გაზეთები იუწყებიან: რუსეთი მზად არის დაუთმოს იაპონიას ერთი ნაწილი სახალინისა, რომელსაც იაპონია 1875 წლამდე ჰფლობელობდაო. „ასსოსიატედ პრესს“-ის სიტყვით, რუსის რწმუნებულთა ინსტრუქციიდან სჩანს, რომ მათ მხოლოდ კონტრიბუციის შესახებ საკითხებზე დათანხმების უფლება არა აქვთ.

პორტსმუტი, 27 ივლისი. რწმუნებულთა გემების შეხვედრას მხოლოდ 25 კაცი დაესწრო. ადმირალი მიდი ორსავე გემზე სადარბაზოდ იყო. ნავთსადგურზე რწმუნებულთ დახვდა მეზღვაურთა ერთი ბატალიონი. ადმირალმა ისინი მიიყვანა სურსათის საწყობის შენობის ქვედა სართულში, სადაც სტუმრებს მოკლე სიტყვა უთხრა. შემდეგ საპატიო დარაჯთა წინ გაიარეს და ზედა სართულში ავიდნენ. მუსიკა რუსულ საერო ჰიმნს უკრავდა. იმავე დროს ზარბაზნებს ისროდნენ. იაპონელებსაც ამგვარადვე დახვდნენ. მისაღებ ოთახში ისსაუზმეს. შესვლის დროს რუსები და იაპონელები ერთმანეთს თავის დაკვრით მიესალმნენ, მაგრამ ერთმანეთს არ დალაპარაკებიან.

ნიუ-კესტლი, 27 ივლისი. კურორტი სავსეა ხალხით; ნავთსადგურში სდგას ამერიკელ მილიონერების გემები. „უენტეორტ ოტელ“-ზე რუსისა და იაპონიის ბაირაღები ფრიალებს. ვერანდის წინ აუარლებელი ავტომობილი სდგას გუშინდელ სადილზე დაესწნენ ქალები საგანგებო მშვენიერ კაბებში. სასადილო ოთახი, რომელშიაც ათასი კაცი თავსდება, სავსე იყო, პირველად იაპონელები მოვიდნენ, შემდეგი-კი რუსები. ვიტტესა და რწმუნებულთ იაპონელებისთვის თავი არ დაუკრავთ, პირდაპირ თავის მაგიდისკენ გასწიეს. იაპონელებმა მალე გაათავეს სადილი და თავის ოთახებში წავიდნენ. რუსები კი დარჩნენ და სტუმართა შორის დასეირნობდნენ. ვიტტე ბარონ როზენისა და მარტენსის ბილიარდის თამაშს უყურებდა.

პეტერბურგი, 27 ივლისი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა, 26 ივლისის თარიღით: „მანდარინის გზას აღმოსავლეთით 23 ივლისს, ჩვენი რაზმი გაიგზავნა უღელტეხილისკენ სოფელ ჩაგოუსთან. იაპონელებმა იერიში მიიტანეს და ორსავე ფრთეს გარს შემოვლას უპირებდნენ. ჩვენი რაზმი იძულებული იყო ჩრდილოეთისკენ დაეხია. ხაილუნჩენის რაიონში ერთმა ჩვენმა რაზმმა, მცირე სროლის შემდეგ, სოფელი იულანძი აიღო“.

პორტსმუტი, 27 ივლისი. დღეს მეფემ შეერთებული ფლოტი დაათვალიერა. საფრანგეთის მეზღვაურები ალტაცებით მიეგებნენ მეფეს. შემდეგ მეფემ, უელსის პრინცმა და კონნაუტის ჰერცოგმა ადმირალ კაიართან ისაუზმეს. ამის შემდეგ საფრანგეთის ფლოტი პორტსმუტის ნავთ-სადგურში შევიდა.

პორტსმუტი, 27 ივლისი. რუსეთის და იაპონიის რწმუნებულთა პირველი სხდომა დღეს, დილის ათ საათზე, უმთავრეს საზღვაო არსენალის სადგომში მოხდა. დელეგატებმა გადასწყვიტეს, რომ მოლაპარაკება ერთს დროს ინგლისურსა და ფრანგულ ენაზე უნდა სწარმოებდეს. ოქმებსაც ორსავე ენაზე დასწერენ. ზავის პირობები დღეს არ განუხილავთ. შეიმუშავეს მხოლოდ შემდეგის სხდომის გეგმა.

ლონდონი, 27 ივლისი. „დეილი ტელეგრაფ“-ს საკუთარი კორესპონდენტი, რომელიც ვიტტეს თან ახლდა, ნიუ-კესტლიდან იუწყება: რუსეთი თავის მიწის ერთს სანტი-მეტრის დათმობაზედაც არ დასთანხმდება. ის ტერიტორია, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა ომის დაწყებამდე, ზავის შემდეგაც ისევ იმას უნდა დარჩესო. სახალინი რუსეთს დარჩება. თუ იაპონია განაცხადებს, რომ სახალინი ამჟამად მას ეკუთვნის, რუსეთი უპასუხებს: იაპონიას შეუძლიან სახალინი ჯერ-ჯერობით შეინარჩუნოს, მაგრამ რუსეთი მაინც კუნძულს თავისად ჩასთვლის და პირველ შეძლებისათანავე მის უკან დაბრუნებას ეცდებაო. რუსეთი არც ფულს გადაიხდის, რადგანაც ეს რუსეთის დამარცხებას დაამტკიცებდა, ამას კი რუსეთი თავის დღეში ვერ იკისრებსო.

პორტსმუტი, 27 ივლისი. ვიტტემ თავის უბრალო ქცევით დიდი სახელი მოიხვეჭა. ვიტტემ რამდენიმე პირი გაიცნო და იმათთან ერთად ისადილა.

რომი, 27 ივლისი. იაპონიის საელჩომ განაცხადა, იაპონიის დიპლომატიას პორტსმუტის კონფერენციისა ძალიან დიდი იმედი აქვსო. თუ მოლოდინი არ გამართლდა და რწმუნებულებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, შეიძლება, იაპონიამ თავისი ფლოტი ბალტიის ზღვაში გაგზავნოსო. პოლიტიკურ წრეებში ეს უბრალო ტრაბახობად მიაჩნიათ, რომელიც იმ აზრით არის გამოგონილი, რომ რუსეთს საზოგადოებრივ აზრზე გავლენა იქონიონ და ზავის საქმე გაიდვილონო.

ლონდონი, 27 ივლისი. „ნიუ-იორკ-უორლდი“-ს კორესპონდენტი იუწყება, ზავის შეკვრის იმედი ისე არასოდეს არა ჰქონიათ, როგორც ახლაო. რუსეთსა და იაპონიას, როგორცა სჩანს, აქვე უნდათ ხელშეკრულობას ხელი მოაწერონ. იმედი აქვთ, რომ რუსეთმა პირდაპირ არაფერი გადაიხადოს და იაპონიას კი ომზე დახარჯული ფული აუნაზღაუროსო.

პორტსმუტი, 26 ივლისი. რუსეთისა და იაპონიის დელეგატებმა ერთად ისადილეს და მერე ეტლში ჩასხდნენ. რწმუნებულებს ხალხი აღტაცებულის ტაშის კვრით მიეგება.

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. პრეზიდენტ რუზველტთან ლაპარაკის დროს, კანეკომ განაცხადა, რომ იაპონიის ფინანსიური მდგომარეობა მშვენიერიაო. კომურა თავის მოთხოვნილებებს ხვალ წარუდგენს. ხმა დადის, რომ ვიტტე კონტრიბუციის მაგივრად კუნძულ სახალინის დიდის ფასით გამოსყიდვაზე დასთანხმდებაო.

პორტსმუტი, 27 ივლისი. კომურას ორნაირი მოთხოვნილება აქვს: პირველი მოთხოვნილება, რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში წარუდგენს, თუ პირობას მისცემენ, რომ უსათუოდ მიიღებენ, სახალინის გარდა, ტერიტორიის დათმობას არა თხოულობს; ზარალის დასაფარად რუსეთმა უნდა გადაიხადოს 150 მილიონი გირვანქა სტერლინგი; მეორე პირობა უფრო დამამცირებელია და მისი მიღება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რუსების სამხედრო ძალები რომ სრულებით გაენადგურებინათ. ეს პირობებია: აუარებელ კონტრიბუციის გადახდა და ვლადივასტოკისა და ციმბირის ნაპირების დათმობა.

პარიზი, 28 ივლისი. ნიუ-იორკიდან მოსულ ცნობებით, მორგანს პრეზიდენტ რუზველტთან ულაპარაკია იმის შესახებ, რომ სახალინის სიმდიდრეთა ექსპლოატაციის უფლება საერთაშორისო კომპანიას გადაეცეს, რომლის კაპიტალიც კონტრიბუციას უზრუნველ-ჰყოფსო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. ნიუ-იორკიდან „ბერლ. ლოკ.-ანცაიგერს“ დეპეშით ატყობინებენ: იაპონიის წარმომადგენელთა მდივანმა სატომ მეტად მკვახედ მოიხსენია ვიტტე, რომელმაც ევროპაში იაპონიის შესახებ შეუფერებელი აზრი გამოსთქვა. «ვიტტეს და ყველა რუსს კარგად უნდა ახსოვდეთ,—სთქვა სატომ,—რომ იაპონიის მოთხოვნილებანი კონსტიტუციონალურ სახელმწიფოს მოთხოვნილებანია, რუსეთის ხალხმა კი არაფერი არ იცის იმის შესახებ, თუ რა გზას ადგია და რას აკეთებს იმისი მთავრობა“. (რ. ს.).

„ნ. ფ. პრესსე“ სწერს ზავის შესახებ: ასეა თუ ისე, რუსეთი დაიღალა და დაიქანცა; ეს ვიტტემაც უნდა აღიაროს, გამოტყდეს და ისე მოიქცეს, როგორც კეთილგონიერება და რუსეთის ინტერესები მოითხოვს. რუსეთმა ღარიბ ხალხის მილიარდები დაღუპა და რამდენიმე ასი ათასი ახალგაზდა დაასაფლავა შორეულ აღმოსავლეთის მინდვრებსა და ზღვაში. რუსეთს ისღა დარჩენია, რომ დასვენება მოითხოვოს და სული მოიბრუნოს. ისიც ცხადია, რომ იაპონიასაც ზავი ურჩევნია სისხლის ღვრას. იაპონიის ბედს განაგებენ შორსმჭვრეტი, სინდისიერი და გონიერი მოღვაწენი, რომელთაც კარგად ესმით, რომ ომი იაპონიისთვის მხოლოდ იარაღია და არა მიზანი. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ვიტტე ორ წყალ შუა ჩავარდა. ვიტტეს რუსეთში აუარებელი მტერი ჰყავს და ეს „პატრიოტები“ ხელს შეუშლიან მშვიდობიანობის დამყარებას. თუ ვიტტემ მოახერხა ზავის ჩამოგდება, მთელს ქვეყანას მოიმადლიერებს და უარესად გადაიკიდებს რუსეთის სამხედრო პარტიას, მაგრამ იმედია, ვიტტე ამას ყურადღებას არ მიაქცევს და თავისას გაიტანსო (რ. ს.).

ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად იაპონიამ და რუსეთმა 30 კაცი გაგზავნეს. იაპონიის მთავარმა წარმომადგენელმა, ბარონმა კომურამ, 60 ყუთი ქაღალდები მიიტანა ოისტერბეიში (რ. ვ.).

ნიუ-იორკიდან „სლოვოს“ დეპეშით ატყობინებენ: რუსეთის წარმომადგენელნი აღიარებენ, რომ რუსეთი დამარცხდა, მაგრამ იმდენად მაინც არა, რომ ბრძოლა აღარ შეეძლოს. საქმეს მხოლოდ სახალინი და კონტრიბუცია შეაფერხებსო. იაპონელები, უეჭველია, მოითხოვენ, რომ რუსეთმა გადაიხადოს ის ვალი, რომელიც იაპონიამ ომის საჭიროებისთვის ისესხა. საზოგადოდ, ამერიკელები ეჭვის თვალით უყურებენ მოლაპარაკებას და იმედი არა აქვთ, რომ საქმე მშვიდობიანობის დამყარებით გათავდეს (რ. ს.).

სახალინი. პარიზიდან „ბირჟ. ვედ.“-ს ატყობინებენ: „ტოკიოდან იუწყებიან, რომ იაპონიის გუბერნატორმა სახალინზე ოფიციალურად გამოაცხადა: რადგან მთელი სახალინი იაპონელების ხელშია, ამიტომ მებრძოლ რუსებს დღეის იქით ისე კი არ მოექცევიან, როგორც კანონიერ მეომრებს, არამედ როგორც მეამბოხეთ, რომელნიც, იაპონიის კანონების ძალით, სასტიკად დაისჯებიანო“ (რ. ს.).

ახალი ამბავი

დანამდვილებით შევიტყეთ, რომ გამოჩენილი მწერალი **გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი ვრცელს წერილს ამზადებს თურმე გურიაში გლეხთა მოძრაობის შესახებ.**

◆ „რუს. სლ.“-ს ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: მას შემდეგ, რაც გენ. ამილახვარმა ქართლი შემოიარა და გლეხთა „დამშვიდება“ სცადა, თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის დამოკიდებულება უარესად გამწვავდაო.

◆ სოხუმის ქალაქის მოურავმა კავკასიის უმაღლესს მთავრობას წარუდგინა **ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა** იმის შესახებ, რომ ქალაქ სოხუმის ყველა სასწავლებელში, როგორც ვაჟებისა, ისე ქალებისაში, მსურველთათვის ქართულ ენაზე სწავლება იყოს შემოღებული.

◆ ტფილისის ქალაქის **მოურავს კავკასიის ნამესტნიკმა ნება არ დართო აცნობოს** საბჭოს მოსკოვში 6 ივლისს მომხდარ ქალაქისა და ერობის წარმომადგენელთა კრების ამბავი.

◆ რადგანაც ამ უკანასკნელ ხანებში გორისა და დუშეთის მაზრებში **არამც თუ იკლო**, პირიქით, **გაძლიერდა კიდეც უწესოებანი**, ხსენებული მაზრები გამოცალკავებულ იქმნა ტფილისის გუბერნატორის გამგებლობისაგან და, სამოქალაქო მართვა-გამგეობის მხრივ, კავკასიაში ხელმწიფის მოადგილის ბრძანებით, დაექვემდებარა ხელმწიფის მოადგილესთან მყოფს **გენერალ-ადიუტანტს თავ. ი. გ. ამილახვას**, რომლის განკარგულებაშიაც იქნება ყველა ის ჯარი, რომელიც

ფელეტონი

ქარიშხალი.

სცენა-პანტომიმა 1 მოქმედებად დრეიფუსისა

მომქმედნი:

ქმარი—32 წლისა ✦ **ცოლი**—20 წლისა

მოქმედება სწარმოებს ჩვენს დროში.

სცენა—პატარა სასტუმრო ოთახი. შუაში ბუხარი, ზედ საათი. კარები მარჯვნივ და მარცხნივ. ორი სავარძელი ანთებულ ბუხართან სდგას. მარცხნივ დიდი სავარძელი-საქანებელი, იქვე პატარა მაგიდა. ზედა სდგას გრაფინით წყალი და ჭიქები. მეორე, უფრო მოდიდო მრგვალი მაგიდა, ზედ—გაზეთები და სხვა წიგნები. მაგიდაზე ანთებული ლამფა; ბუხარზე სანთლები.

I

ცოლი (მარტოა. ზის ბუხართან და ხელსაქმობს, ეტყობა ძალზე აღელვებულია. მის მუშაობას გაცხარება ემჩნევა, ბრაზობს. ცოტა ხნის შემდეგ საათს შეხედავს). თერთმეტი საათია!.. როგორ მოგწონთ, თერთმეტი საათია! (გარედან მოისმის ფეხის ხმა) ძლივს! (გაცხარებით მუშაობს. შემოდის ქმარი).

2

ქმარი (შემოდის მხიარული და კმაყოფილი; სწრაფად გაუშვერს ცოლს ორსავე ხელებს მისაგებებლად. ცოლი თითქოს არც კი ამჩნევს, ქმარი ცოლს გაკვირვებითა და თან შიშით შეჰყურებს. დიდი სიჩუმე. ქმარი ღიმილით მოუვლის ცოლს უკან, მოსახვევნად; ცოლი ზეზე წამოვარდება გააფთრებული).

ცოლი. თავი დამანებეთ!

ქმარი (რიღასიც თქმა უნდა).

ცოლი. არ მომეკაროთ! იქით მომშორდით! (კარებისკენ მიდის).

ქმარი (თან მისდევს).

ცოლი (კარებში გაჩერდება, მიუბრუნდება ქმარს და ამაყად ეტყვის) ამ წუთიდან ჩვენ შორის ყოველივე გათავებულია! ჩვენ საერთო აღარა გვაქვს-რა! გაიგეთ? ახლა ყველაფერი სამუდამოდ გადასწყდა! (გადის მეორე ოთახში, ქმარიც შესვლას აპირებს, მაგრამ ცოლი ცხვირ წინ კარებს ჩაუკეტავს).

ქმარი (მარტოა. ჯერ უკვირს, მერე სწყინს და თან ფიქრობს—რა ამბავია, რა მოუვიდა ცოლსა—ცოლი მართლა ჯავრობს თუ თვალთმაქცობს, იქნება ის ახლა იცინის თავის ოთახშიო. ქმარი მიდის კარებთან და ყურს მიადებს—ეჰე, მართლა ჯავრობს, ეგ ალბად ჩვეულებრივი კაპასობაა, რა გაეწყობა, რაკი კაპასობს, დეე, იკაპასოს, პირველი მაგალითი ხომ არ არი, მალე გაუვლის და დამშვიდდებაო. ქმარი მივა ბუხართან და ხელებს ითბობს, მერი მივა სტოლთან, აიღებს გაზეთს, ჩამოჯდება მარცხნივ დიდ სავარძელზე და კარგად მოეწყობა შიგ, თითქოს დიდის ხნით ემზადება კითხვასაო, გადაშლის გაზეთს და ღრმად ჩაკვირდება. ამ დროს გამოდის ცოლი).

ცოლი (გამოვა თავის ოთახიდან და ქმრის წინ მრისხანე სახით გაჩერდება). იქნება მართლა თქვენა გგონიათ, რომ ასეთი ცხოვრება შესაძლებელი იყოს? თქვენ გგონიათ ყოველივე ამ უწესოებას ავიტან?!.

ქმარი (გაოცებულია).

ცოლი. მე კარგად მესმის, კარგად გამეგება თუ რა წითელი კოჭი ბრძანდებით! თქვენ გგონიათ, რაკი მთელი საღამო თქვენს მოლოდინში გავატარე, ახლა რომ მობრძანდით კისერზე ჩამოგეკიდებოდი!? თქვენ აქ საუცხოვოდ მოწყობილხართ თბილ ოთახში და ისიც კი არ იცით, რომ ჩემს ოთახში ცივა და ბნელა კიდეცა!

ქმარი (სავარძლიდან წამოდგება).

ცოლი (გესლიანად). ბრძანდებოდით! ბრძანდებოდეთ! მე თქვენ არ შეგაწუხებთ!.. აბა, რა თქმა უნდა, დაღლილ კაცს მოსვენება ეჭირვება.

ქმარი (უნდა პასუხი გასცეს, მაგრამ ცოლი არ აცლის).

ცოლი. მე მხოლოდ ისა მწყინს, რომ გავსულელდი და დაგიჯერე, რომ ვითომც დროზე მოხვიდოდი!.. მე რომ მცოდნოდა—ღამის ორს საათზე დაბრუნდებოდით, აქამდის დავწვებოდი და გამოვიძინებდი მაინც!

ქმარი (საათს შეხედავს და ანიშნებს:—თერთმეტიაო).

ცოლი ამ საათს რას უყურებთ? ეგ საათი მთელის ორის საათით იგვიანებს, უკან დადის ხოლმე.

ქმარი (თავის ჯიბის საათს სინჯავს).

ცოლი. თქვენი საათიც თქვენსავით სტყუის!.. მაგრამ ეგ სულ ერთია! თქვენ მაინც ოჯახის დარდი სულაც არ გაწუხებთ!.. თქვენთვის ხომ სულ ერთია: გინდ თერთმეტ საათზე მოხვიდეთ შინა, გინდ ორზე, სამზე, ოთხზე და გათენებისას ხუთზე, თუ ექვსზე!..

ქმარი (გაოცებულია).

ცოლი. გამუდმებული ქეიფი და დროს ტარება, განა ეგ პირველი შემთხვევაა თქვენს სიცოცხლეში?

ქმარი. —??

ცოლი. მე სულაც არ მიკვირს თქვენი უკუღმართობა! რა კი ოჯახის კაცი ერთხელ თავზე ხელს აიღებს და ხეტიალს დაიწყებს—მაშინ მშვიდობით ცოლო და შვილო!

ქმარი (მწარედ იღიმება).

ცოლი. ჰო, რა თქმა უნდა, გაიცინებთ! იცინეთ... იცინეთ! რაღა გიჭირთ! თქვენისთანა კაცს არაფრისა არა სცხვენიან.

ქმარი. ?!

ცოლი. რაღა თქმა უნდა, რომ ლოთობის შემდეგ, თქვენ, თქვენს ამხანაგებთან ერთად, გასწევდით ბაღებში საქეიფოდ, სადაც ათასი ოხერი და თქვენისთანა უნამუსო კაცი და ქალი თავს იყრის!..

ქმარი. ??!

ცოლი. არა, ტყუილები რაღა საჭიროა! ისევ ის სჯობია მართალი სთქვათ, სიცრუით მაინც ნუ დაიმცირებთ თავსა! ერთი მიბრძანეთ, სადილზე ბევრი ქალები გყავდათ?

ქმარი (განცვიფრებულია).

ცოლი. ჰო, ჰო! ვიცი, ვიცი რასაც მეტყვით! რის ქალები, რა ქალებიო? სულ საპატიო პირები იყვნენ, დარბაისლები, მხოლოდ შინაურები გვეახლდაო და სხვა და, სხვა. გამოტყდით—კარგად გაატარეთ დროება?

ქმარი (გაკვირვებულია).

ცოლი. ტყუილს ვამბობ? მე ხომ კარგად ვიცი თქვენი ხასიათი. სადილის შემდეგ თქვენ უთუოდ თავს მოიგიჟიანებდით!—მე ხომ კარგად ვიცი თქვენი ამბავი!..

ქმარი (მორცხვად თავს დაღუნავს).

ცოლი. აბა, რა თქმა უნდა, ბაღში ცოლთან ერთად სადილობა სირცხვილია, და სხვებთან კი...

ქმარი (ცოლს ღიმილით მიუახლოვდება).

ცოლი (უკან დაიხევს). არა, არა! თავი დამანებეთ! არ მომეკაროთ! იმათ მიუალერსეთ, ვისთანაც აქამდინ იყავით! მე კარგად ვიცი თქვენი გარყვნილი გემოვნება! ის გასქელებული და კუნძს დამსგავსებული ბაბულინა. ჰოი, იმის ქვრივობას კი შეურცხვეს ნამუსი! ისიც იტყვის, ქალი ვარო! ქალი კი არა, კინტოა!.. თეძოებს ძლივს დაათრევს!..

ქმარი ?!?

ცოლი. და ამისთანა დედაკაცი ჰბედავს და ჩემთან მოდის ხოლმე! უჰ, რა საძაგლობაა!

ქმარი (მორჩილებით ეთანხმება).

ცოლი. ძლიერა გწყინთ განა? აბა, რა თქმა უნდა, საწყენი არ არის თუ? რამდენიც გენებოთ, იმდენი იჯავრეთ, თუნდა გულზე გასკდით, მე მაინც ჩემსას ვიტყვი! თქვენ რომ გკითხოთ, თქვენი ბაბულინასთანა ქალი მთელს ქვეყანაზე არ არის, რომ ის განათლებული, განვითარებულია და სხვა! კარგი განათლებაა, თქვენმა მზემ, როცა ქვრივი, გიჟისავით, ცოლიან კაცებს კისერზე ეკიდება! ვითომ რაო? ტყუილს ვამბობ? აბა, თუ კაცი ხარ და, სთქვი, რომ ტყუილია, აბა სთქვი! სთქვი!!

ქმარი. (სრულებით ეთანხმება).

ცოლი. არა, აგრე ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია! თქვენი საქციელი ყოვლად შეუწყნარებელია! მეტი რა ღონეა,—მეც თქვენსავით ავეშვები და ვნახოთ, ვინ იქნება მოგებული!

ქმარი. (განცვიფრებული და გაჯავრებულია).

ცოლი. მაგრამ, თქვენდა საბედნიეროდ, კარგად იცით, რომ მე თქვენს ბაბულინას არა ვგევარ!—მე არ შემიძლიან დილიდან საღამომდე კარ-და-კარ სტუმრად ხეტიალი!.. მე შეგნებული მაქვს ჩემი მოვალეობა და მიტომ თავზე წამომაჯექით მთელი დღე შინა ეზივარ, გარედ თავს არ გამოვყოფ! (პირველსავე სცენიდან ამ ადგილამდე ცოლი სულ აჩქარებით და აწჩხლობით ლაპარაკობს, სულს ძლივს-ღა იბრუნებს. ახლა კი ძალზე მოღლილობა ეტყობა. ქმარს პასუხის მიცემა უნდა, მაგრამ ცოლი არ აცლის და ისევ კაპასად განაგრძობს) რადა გწყინთ, ხომ მართალს ვამბობ? აბა, მეც თქვენი ბაბულინასთანა ვყოფილიყავ, პატივით და სიყვარულით მომექცეოდით, თუ არა! მე მხოლოდ ეს მიკვირს—ისე რამ დაგაბრმავათ, რომ ვეღარ ამჩნევთ, თუ ის რა ჯურის ქალია! ეგ ხომ ყველამ ვიცით, რა შეძლების პატრონიცაა და რატომ ერთხელ მაინც არ იკითხავთ, საიდან იცვამს და იხურავს აგრე მდიდრულად!.. ოჰო, ახლა მიხვდით? აი, ასეთი გახლავთ თქვენი ბაბულინა... მაშ!

ქმარი. (მრისხანედ შეხედავს).

ცოლი. მე მხოლოდ იმას ვიმეორებ, რასაც სხვები ამბობენ! თქვენ, უეჭველია, ამას ჭორიკანობაში ჩამოართმევთ, მაგრამ მე სრულს ჭეშმარიტებას მოგახსენებთ! არა, არისტოკრატებში რომ ძვრება, ეს არის და, სასაცილო! „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო!“ ვინ ბაბულინა და ვინ არისტოკრატია! განსვენებულის ქმრის წყალობით გაერია ხალხში, თორემ წინად ვინ იყო, ვიღაც გომბიო!..

ქმარი. (საყვედურით შეხედავს).

ცოლი. ჰო, რა თქმა უნდა თქვენი გწყინთ! თქვენ იმას უფრო უჯერებთ, ვიდრე მე...

ქმარი. ?!

ცოლი. უკაცრავათ, რომ გაწყენინეთ! უკაცრავათ! დღეს შემდეგ, მერწმუნეთ, მე კრინტსაც არ დავძრავ მშვენიერების ღმერთაზე! მუდამ ქებით მოვიხსენიებ იმ ქალს, რომელმაც ქმრის გული მომტაცა, რომელმაც ცოლს და შვილებს ქმარი და მამა წაართვა, რომელმაც ოჯახი პირქვე დამიმხო.. დიაღ, მე მუდამ ქებით და მოწიწებით მოვიხსენიებ ჩემს დამღუპველს.

ქმარი. ???

ცოლი. ახლა ხომ კმაყოფილი ხართ! იქნება გსურთ, რომ მუხლებში ჩაგივარდე და შენდობა მოვსთხოვო?—რატომაც არა! წავალ და ფეხებში ჩავუვარდები!..

ქმარი. (სურს რაღაცა უთხრას, მაგრამ მხრების აწევით მოშორდება).

ცოლი. ოჰო, ბრაზი გერევათ, განა? როცა კაცს სათქმელი არა აქვს-რა, მაშინ ჯავრობს და ბრაზობს.

ქმარი (ისევ მიუბრუნდება).

ცოლი. როგორ? ცემას პირებთ? ვაიმე, მიშველეთ!.. ეს-ღა მაკლდა. მერე რაღას აუყურებთ? მცემეთ, მტანჯეთ, ჯვარს მაცვით რაღა?

ქმარი (სასოწარკვეთილია).

ცოლი. რაღას გაჩერდით? თქვენ ხომ ოჯახის უფროსი და მბრძანებელი ხართ! რასაც მოისურვებთ, ყველაფერს დაუყოვნებლივ ისრულებთ! ესეც რომ არ იყოს—ჩემზე უფრო ღონიერი ხართ და ვინ დაგიშლით ჩემს შეურაცხყოფას!.. მცემეთ... მცემეთ! ნუ გრცხვენიათ! იმის მაგიერად, რომ ბოდიში მოითხოვოთ...

ქმარი (მიუახლოვდება).

ცოლი. იქნება გეშინიანთ, რომ ყვირილს დავიწყებ და მთელ ქვეყანას შევატყობინებ თქვენს ავკაცობას?.. ნუ გეშინიანთ!..

ქმარი (ისევ გაბრუნდება).

ცოლი. შემცდარი ბრძანდებით! მე არასოდეს არ შევბღალავ თქვენს სახელს და ჩვენის ოჯახის სიწმინდეს! მე იმგვარ ქალთაგანი არ გახლავართ, რომელთაც თავიანთის ოჯახის ჭუჭყი საქვეყნოდ გარედ გამოაქვთ.

ქმარი (რაღაცა უნდა სთქვას, მაგრამ ცოლი არ აცლის).

ცოლი. არა გჯერათ? თქვენა გგონიათ, მე ტყუილს ვამბობ?

ქმარი (თვალებს ზეცად ალაპყრობს, მერე გაზეთს აიღებს და ჩამოჯდება).

ცოლი. თქვენ პასუხსაც არ მაღირსებთ? გაზეთის კითხვას შეუდექით! აბა, რა თქმა უნდა, თქვენ რაში გენაღვლებათ, თუ ცოლი იტანჯება! (მივა ქმართან) ბევრი სხვადასხვა და ნაირნაირი ადამიანია ქვეყანაზე, მაგრამ ყოველი ქმარი, თუ კი დამნაშავეა, უთუოდ შეინანიებს თავის

ამჟამად გაგზავნილია ხსენებულ ბაზრებში, და აგრედვე ისიც, რომელიც ამიერიდან გაიგზავნება.

✦ ტფ. მაზრის უფროსი შუამდგომლობს გუბერნატორის წინაშე, რომ **ვერის ზემოდ ბორნის მოიჯარადრე ხაჩატურ მუკელიანცი ტფილისიდან გადასახლებულ იქმნას**. ამ შუამდგომლობას მაზრის უფროსი იმით ხსნის, რომ ეჭვი აქვს, ამ მებორნემ 11 ივლისს ნათაძე გაძარცვა, 400 მანათი წაართვა, შემდეგ დაალრჩო და წყალში გადააგდოო. ეს მებორნე ამისთანა საქმეებს პირველად არ სჩადის. ამგვარადვე ამ რამდენისამე წლის წინად ჰბრალდებოდა, რომ იმან დაალრჩო ორხევის მედუქნე, მაგრამ ვერც ერთი მკვლელობა ვერ დაუმტკიცესო.

✦ „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბის“ რედაქტორად, ნაცვლად ვოსტორგოვისა, **ინიშნება ამაღლების ეკკლესიის მღვდელი ილარიონ ჯაში**.

✦ მაჰმადიანთა შუამდგომლობა **ტფილისში თათრულ გაზეთის დაარსების შესახებ არ შეიწყნარეს**.

✦ საგუბერნიო საპყრობილეთა კომიტეტმა განკარგულება მოახდინა **პატიმართა სასმელ-საჭმლის გაუმჯობესობის შესახებ**.

✦ სასულიერო სემინარიის მთავრობას თურმე აუარებელი **თხოვნა მოსვლია სემინარიის სხვადასხვა მოსწავლეებისაგან**. ეს მოსწავლეები გამორიცხულნი ყოფილან და თხოულობენ მიღებას. რადგანაც სემინარიის მდგომარეობა გამოურკვეველია, სემინარიის მთავრობას ყველასთვის უარი შეუთვლია.

✦ 3 აგვისტოსთვის საოლქო სამხედრო **სასამართლოში დანიშნულია საქმე** ნოე თევზაძისა, ესტატე ნიკოლაიშვილისა, ტიხონ სანაძისა და ილია ნებიერიძისა, რომელთაც კანდიტერის ალიხანოვის მოკვლა ჰბრალდებათ.

✦ ქალაქ სოხუმს **ქალაქის აფთიაქის დაარსების შესახებ შუამდგომლობაზე უარი უთხრეს**, სოხუმში ცოტა მცხოვრებლები არიანო.

✦ ამ დღეებში **წებელდაში მოჰკლეს თუთუნის ცნობილი პლანტატორი თოფჩიანი**. დამნაშავე ვერ უპოვნიათ.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის ზოგიერთი მოწაფე, რომელთაც წელს **ამ გიმნაზიაში სწავლა დაამთავრეს**, ნამესტნიკს სთხოვს, ან პირდაპირ უმაღლესს სასწავლებლებში შესვლის ნება მოგვეცით, ან არა და—ნება მოგვეცით, ახლად გადაკეთებულ სათავად აზნაურო გიმნაზიაში მეორედ გამოვიცადნეთ იმ წესით, რომელიც თქვენმა ბრწყინვალებამ უკვე დაამტკიცაო. ნამესტნიკი ამის წინააღმდეგი არაა და ეს ამბავი ოლქის მზრუნველს აცნობა.

✦ ქუთაისში წყლის გამყვანმა ამხანაგობამ თავისი **უფლებანი ქუთაისის ქალაქის გამგეობას გადასცა**.

✦ 25 ივლისს, ღამე, სოხუმში, გიორგის ქუჩაზე **მიმავალ ეტლს ყუმბარა ესროლეს**. ყუმბარა გასკდა, მაგრამ არავინ დაშავებულა.

✦ **ტფილისის ვაჟების პირველ გიმნაზიის მთავრობა აცხადებს**, რომ: 1) ყველა კლასებში მოწაფეთა დამატებითი გამოცდა დაიწყება 22 აგვისტოდან 27 მდე, 2) მისაღები გამოცდა მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში და პირველ კლასში დაიწყება 23 აგვისტოდან 26 მდე. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს. ვისაც უნდა დაწვრილებით ცნობები მიიღოს, შეუძლიანთ გაიგონ გიმნაზიის კანცელარიაში პირველ აგვისტოდანვე.

✦ ინგლისელთა სააქციონერო საზოგადოებას, რომელსაც სახელად „სამხრეთ-რუსეთის ნავთის-მწარმოებელი საზოგადოებ“ ჰქვიან, უმაღლესად ნება მიეცა, შეუდგეს **ნავთის წარმოებას თიანეთის მაზრაში.** ტფილისის გუბერნიასა და მთელს კავკასიაში საქმის საწარმოებლად საზოგადოებას ერთი მილიონი მანათი გადაუდვია. (ც. ფ.).

✦ წარსულ კვირაში **დსრულდა სრულიად-რუსეთის მალაკანთა კრება**. კრებაზე დაესწრნენ საზღვარ-გარედ მყოფნი მალაკნებიც. კრებაზე მიწვეულ იქმნა ვორონცოვ-დაშკოვი. კრებას 3000 კაცამდის დაესწრო. კრებამ საყოველთაოდ დაადგინა: დაამყარონ ერთმანეთს შორის მშვიდობა; შეადგინონ სამღვთო-სჯულის კატეხიზმო მალაკანთათვის; საერთო საგნებთან ერთად სკოლებში მალაკანთა მოზარდ თაობას ასწავლონ სამღვთო სჯული იმ პროგრამით, რომელიც მალაკანთა სარწმუნოების საფუძველზე იქმნება დამყარებული; მალაკანთა ბავშვებისთვის და მოზრდილთათვის მოეწყოს აუდიტორიები, სადაც ზნეობრივად აღზრდიან მათ; შეადგინონ როგორც ბავშვთა, აგრეთვე მოზრდილთა მგალობელთა გუნდი, გალობის სასწავლებლად; გაიხსნას მალაკანთათვის უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი; დაწესდეს ყოველ მალაკანთა საზოგადოებაში საზოგადო კითხვების საყოველთაო კენჭის ყრით გადაწყვეტა. კენჭის ყრაში მონაწილეობას მიიღებს მალაკანთა ყველა სრულ-წლოვანი წევრი; პრესვიტერების არჩევა დახურულ კენჭის ყრით უნდა ხდებოდეს; თუ კენჭის ყრაში მონაწილეობა ამომრჩეველთა $^{2}/_{3}$ მიიღო მონაწილეობა, არჩევანი კანონიერად ჩაითვლება; საზოგადოების გადაწყვეტილებათა სისრულეში მოსაყვანად თითოეულ საზოგადოებაში უნდა იქმნეს არჩეული განსაკუთრებული საბჭო მამასახლისებისა. საბჭოში 9 პირი იქმნება არჩეული; მალაკანთათვის გამოიცეს ზნეობრივის შინაარსის ჟურნალი; მალაკანთა ყველა საზოგადოებაში დაარსდეს პირველ დაწყებითი სასწავლებლები ბავშვთათვის და მოზრდილთათვის.

✦ სოფელ ვორონცოვკაში (ბორჩ. მაზრა) არსდება **საკვირაო სკოლა** იმ ფულით, რომელიც **ნამესტნიკმა იქ ყოფნის დროს შესწირა.**

✦ ქ. სიღნაღიდან გვწერენ: კვირას, 24 ივლისს, საზოგადო დარბაზში, **ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქმნა** სამმოქმედებიანი კომედია „ფული და ხარისხი“ აზიანისა და ვოდევილი ერთ მოქმედებად „ცოლქმრობის წინაღმდეგ“—დ. აწყურელისა. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და ხალხიც ბევრი დაესწრო. ანტრაქტებში, ხალხის თხოვნით, „მარსელიეზას“ უკრავდნენ.

✦ საბაღოსნო სკოლაში ახლად **სწავლა დამთავრებულნი,** სკოლის გამგისა და მებაღე მასწავლებლის ხელმძღვანელობით, **მიემგზავრებიან ექსკურსიაზე**. ექსკურსანტები დაათვალიერებენ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლას, მუხრანის საუფლისწულო მამულების ვენახებს, ალაიანის სანერგეს და სკრის მამულებს.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსად ყოფილის ბოგუცკის დროს დაარსებული **სამკითხველო წიგნთ-საცავის საქმე ცუდად წავიდა** და ამ დღეებში შესდგა კრება, რომელზედაც მოსამსახურეებმა მოითხოვეს ამ დაწესებულების ლიკვიდაცია. თანახმად არქივარიუსის ჩერნესოვის მოხსენებისა, კრებამ დაადგინა: არჩეულ იქმნას კომისია ხუთის კაცისა და ორის რევიზორისაგან, რომელთაც საბოლოოდ უნდა გადასწყვიტონ ამ სამკითხველოს ბედ-იღბალი.

✦ ქალაქის ხორცის დუქნების გამგე კომისიამ 28 ივლისიდან ქალაქის ხორცის დუქნებისთვის ახალი ნიხრი დანიშნა. ამ ნიხრით გირვანქა სუკი ღირს 16 კ., პირველ ხარისხის ხორცი გირ. 11 კ., მეორე 9 კ., მესამე 7 კ.

✦ ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის უფროსი დევიცკი დაინიშნა თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორად. დევიცკის ადგილზე დაინიშნა ერევნის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორი ა. ჭოჭონაძე, ხოლო უკანასკნელის ნაცვლად—გორის საოსტატო სემინარიის ინსპექტორი სმირნოვი.

✦ ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება სასოფლო-სამეურნეო ბანკის დირექტორის თ. ვლ. სვ. მიქელაძისა იმის შესახებ, რომ ქალაქის ფული ამ ბანკში ინახებოდეს. გამგეობამ დაადგინა: ეს საკითხი ბანკის რწმუნებულის თანდასწრებით გადასწყვიტონ.

✦ ქალაქის გამგეობის დავალებისამებრ, ინჟენერ-ტეხნიკოსი აბელიანცი ქალაქის უძრავ ქონების ინვენტარის შედგენას შეუდგა.

✦ მეათე საპოლიციო უბანში გუშინ, 28 ივლისს, 25 ჯიბგირი შეუპყრიათ.

✦ ქალაქის გამგეობამ ცენტრალურ სამკურნალოში პრაქტიკის ნება მისცა ექიმებს ი. პაპიკიანცს, ი. მირზოევს, ს. ჯანიბეკოვსა და ტ. ხარაზოვს.

ქ. ნოვოროსიისკის ამბები

ნოვოროსიისკის ქალაქის საბჭოს კერძო თათბირი. 20 ივლისს, აუარებელ ხალხის თანადასწრებით, შესდგა კრება ნოვოროსიისკის ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა კავკავის რკინის გზაზე გაფიცვით გამოწვეულ ამბების შესახებ მოსალაპარაკებლად. რამდენისამე ხნის თათბირის შემდეგ შეადგინეს და ყველა ხმოსანმა ხელი მოაწერა შემდეგს რეზოლუციას: 1) პროტესტი გამოეცხადოს იმის გამო, რომ უწესოების მოხდენის დროს სამხედრო ძალას მიმართეს და გაფიცულთ შეუბრალებლად მოექცნენ, რაიცა ეუწყოს კავკასიის ნამესტნიკსა და შინაგან საქმეთა მინისტრს, ყველა იმ ცნობებთან ერთად, რასაც ქალაქის თვით-მართველობა შეჰკრებს ამ სამწუხარო ამბის შესახებ; 2) იშუამდგომლონ, ვისთანაც ჯერ არს, რომ ჩვენების ჩამორთმევასა და წინასწარ გამოძიებაში ნოვოროსიისკის ქალაქის საბჭოს ხუთმა წარმომადგენელმაც მიიღოს მონაწილეობა, და ამასთანავე ითხოვონ, რომ გამოძიებისა და სასამართლოს საქმის წარმოება დაწვრილებით დაიბეჭდოს გაზეთებში,—და გამოქვეყნებულ იქმნას სახელი და გვარები, როგორც დაშავებულთა, ისე ყველა იმათიც, ვინც ამ სამწუხარო შემთხვევაში მონაწილეობა მიიღო. ხოლო თუ ამას არ შეიწყნარებენ, შეკრებილ იქმნას ცნობები და უცენზუროდ დაიბეჭდოს; 3) მიენდოს ქალაქის გამგეობას, რითაც შეუძლიან, დაუყოვნებლივ დახმარება აღმოუჩინოს დაშავებულთა ოჯახობას; 4) გამოეცხადოს ზიზღი და გულის წყრომა კაზაკებს მათის ველურ სისასტიკისათვის; 5) იშუამდგომლონ გუბერნატორთან, რომ ნოვოროსიისკიდან გაძევებულ იქმნან კაზაკები, ვინაიდან პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ყოველგვარი უწესოება მხოლოდ მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როცა ქალაქში კაზაკები არიან; 6) იშუამდგომლონ დეპეშით მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნენ ხალხის წარმომადგენელნი; 7) გამოეცხადოს კავკავის რკინის გზის გამგეობას, რომ ის მუშებს ძლიერ მცირე ხელფასს აძლევს, რითაც მუშებს არსებობა არ შეუძლიანთ, და 8) ეთხოვოს გუბერნატორს, აუკრძალოს პატრულებს ქალაქში სიმღერებით სიარული, რათა ამით მცხოვრებთა ადამიანური გრძნობა არ აღაშფოთონ. ქალაქის საბჭომ აირჩია 5 წარმომადგენელი, რომელთაც, მთავრობის მოხელეებთან ერთად, მონაწილეობა უნდა მიიღონ წინასწარ გამოძიებაში, რომ დაამტკიცონ ან უარჰყონ ის ცნობები, რომ კაზაკებმა გაქცეულ ბრბოს დაუწყეს თოფის სროლა.

—

ადგილობრივ გაზეთების ცნობების მეოხებით, კავკავის რკინის გზაზე **აღმოაჩინეს დიდი ბოროტ მოქმედებანი.** დანიშნულია გამოძიება.

—

ნოვოროსიისკის ქალაქის მოურავის განკარგულებით, **სადგურ ნოვოროსიისკზე 19 ივლისს მოკლულთა, დაჭრილთა** და, საზოგადოდ, იმ საზარელ ამბების გამო, რომლის მოწმეც ქალაქი იყო, გლოვის ნიშნად, ქალაქის ორკესტრი 19 ივლისიდან სამის დღის განმავლობაში ბაღში აღარ დაუკრავს.

—

ნოვოროსიისკის **ინტელიგენტ-ქალებმა შავის ზღვის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რომ ქალაქიდან გაძევებულ იქმნენ კაზაკები**, რადგანაც მათ 19 ივლისს, წესიერების აღდგენის დროს, სადგურზე დაჰხოცეს და შეუბრალებლად სცემეს მუშებს.

—

კავკავის რკინის გზაზე მუშათა გაფიცვის მიზეზთა გამოსარკვევად პეტერბურგიდან წავიდა რკინის გზების ინსპექტორი იაშანოვი (რ.).

—

ასოთ-ამწყობთა გაფიცვის გამო, ნოვოროსიისკის გაზეთი „ჩერნ. პობ.“, ეს რამდენიმე დღეა, აღარ გამოდის.

ქართული ენა საშუალო სასწავლებლებში

საშუალო სკოლების ანორმალურ მდგომარეობამ სამართლიანად მიიქცია საზოგადოებისა და მწერლობის ყურადღება. ამჟამად ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტებად მიჩნეულია, რომ აწინდელის საშუალო სკოლის უმთავრესი საფუძველი შეირყა და დაჟინებით განახლებას თხოულობს. ხანგრძლივმა პოლიტიკანობამ, პედაგოგიის უმთავრეს პრინციპების სისტემატიურად დაგმობამ და უარყოფამ სამართლიანად გაუთხარა ძირი საშუალო სკოლების აწინდელს სწავლების სისტემას და ამნაირად დაგვიახლოვა თანამედროვე საშუალო სასწავლებლების სრულის ლიკვიდაციის ხანა.

ჩვენ არ გამოვუდგებით ამჟამად იმის გამოძიებას, თუ რაგვარ საფუძველზე უნდა იქმნეს აგებული მომავალი საშუალო სკოლა. ვიტყვით მხოლოდ, რომ განახლებული სკოლა საბოლოოდ დაჰგმობს „უსირცხვილო პოლიტიკანობას“ და თავის მაცოცხლებელ წყაროდ სად პედაგოგიურ პრინციპების გამეფებას დასახავს.

მეტია ამჟამად ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენს საშუალო სასწავლებლებში მთელის ერთის საუკუნის განმავლობაში დაგმობილი იყო მრავალი საანბანო პედაგოგიური ჭეშმარიტება და, მათ შორის, ის უბრალო და მარტივი ჭეშმარიტებაც, რომ სწავლება ჩვენს საშუალო სკოლებში დედაენაზე ყოფილიყო. სამშობლო ენაზე სწავლების საჭიროება ყველაგან სადის პედაგოგიის საანბანო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული, და ამიტომ, საცა კი მომავალ ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმე ნორმალურად სურთ აწარმოვონ, ამ პრინციპის დაგმობა და უარყოფა ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელია.

მაგრამ, რაც ყოველ კეთილად განწყობილ ქვეყანაში შეუძლებელი და მოუხერხებელია, ჩვენში, თურმე, ადვილად შესაძლებელი და მოსახერხებელი ყოფილა. მთელის ასის წლის განმავლობაში კავკასიაში არსებულ სკოლების მმართველ-გამგენი სისტემატიურად სდევნიდნენ ახალთაობის სამშობლო ნიადაგზე სწავლა-აღზრდის საქმეს. ნაყოფი ასეთის პოლიტიკისა დღეს-დღეობით ყველასათვის ცხადზე უცხადესია. მწერლობამ, საზოგადოებამ, მშობლებმა და მოწაფეებმა ერთხმად დაჰგმეს აწინდელი სასკოლო რეჟიმი და გადაჭრით მოითხოვეს სხვა სად პედაგოგიურ პრინციპებთან ერთად სამშობლო ენაზე სწავლების შემოღებაც.

კავკასიის უმაღლესი მთავრობა, როგორც ამას წინად უკვე მოხსენებული გვქონდა, იძულებული შეიქმნა, მომავალ წლიდან პირველდაწყებით სკოლებში სწავლება სამშობლო ენაზე შემოეღო. რაიცა შეეხება საშუალო სასწავლებლებს, ჯერ-ჯერობით გადაჭრით არ შეგვიძლიან ვიწინასწარმეტყველოთ, რაგვარ გზას აირჩევს სამოსწავლო მთავრობა, ძველსა თუ ახალს, ხოლო დანამდვილებით იმისი თქმა კი შეგვიძლიან, რომ, არსებულმა საშუალო სკოლის რეჟიმმა კიდეც რომ გაიმარჯვოს დროებით, სამშობლო ენას საშუალო სკოლის ყველა კლასებში მაინც საპატიო ადგილი დაეთმობა მომავალ სამოსწავლო წლიდანვე.

დღემდის ქართულს ენას საშუალო სასწავლებლებში, განსაკუთრებით გიმნაზიებში, მოსამზადებელსა და პირველს ოთხს გიმნაზიურს კლასებში თითქო ასწავლიდნენ, ნამდვილად კი ამ ენის სწავლება ყველა დასახელებულ კლასებში მარტოოდენ ფიქცია იყო, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან არც ერთს საშუალო სასწავლებელში ეს ენა სავალდებულო საგნად არ ყოფილა მიჩნეული, ქართულის ენის მასწავლებელი შტატის მასწავლებლად არა ყოფილა ჩარიცხული, გაკვეთილების განაწილების სიაში ამ ენას მეხუთე და, უმეტეს შემთხვევაში, მეექვსე გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი, არც ერთს საშუალო სასწავლებლებში ქართულის ენის სამოსწავლო პროგრამა არ შეუდგენიათ სახელმძღვანელოდ და, რაიცა ყველაფერზე უფრო სავალალოა, ამ ენის სწავლება ჩაბარებული ჰქონიათ ისეთს მასწავლებლებს, რომელთაც ქართულის ლიტერატურისა და მწერლობისა ინჩიც არ გაეგებოდათ და არც სურვილი ჰქონდათ გაეგოთ რამე.

დღეს-დღეობით ცხოვრების ჩარხი სულ სხვანაირად დატრიალდა. მთელის ასი წლის განმავლობაში გამეფებულს „პოლიტიკანობას“ გაუცვდა ბასრი კბილები. ჩვენს ახალთაობას ამა წლის ენკენისთვიდან ეძლევა უფლება შეითვისოს საშუალო სკოლის მთელის კურსის განმავლობაში სამშობლო ენაზე თავის სამშობლო მწერლობისა და ლიტერატურის აწმყო და წარსული.

სანამ საშუალო სკოლების რეორგანიზაციის საქმე ჩვენთვის უფრო საკეთილოდ მოეწყობოდეს, სანამ საშუალო სასწავლებლები სრულიად სწორსა და ნორმალურ სახეს მიიღებდნენ, ქართველი საზოგადოება დაუყოვნებლივ საქმეში აქტიურად უნდა ჩაერიოს და ზემო-დასახელებულის უფლებითაც ახლავე ისარგებლოს და, ამნაირად, ქართულის ენის სწავლება საშუალო სასწავლებლებში ძველებურად ფიქციად არ გადააქციოს.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ, საზოგადოების მიმართულება თუ არ შეიცვალა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ზურგს ვერ შეაქცევს ზემოდ დასახელებულ უფლებას და მომავალ ენკენისთვიდან ყველა გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში შემოღებული იქმნება ქართულის ენის სავალდებულო სწავლება.

მაგრამ საკითხი ის არის, თუ ვინ შეადგენს ქართული ენის სამოსწავლო პროგრამას და ან რა საშუალებით იქმნებიან მოწვეულნი ქართულის ენის მასწავლებლები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და მის გადაწყვეტის დროს ქართველმა საზოგადოებამ უთუოდ თავისი ხმა უნდა აღამაღლოს.

ქართული ენის სამოსწავლო პროგრამის შედგენა გიმნაზიის რვა კლასისათვის მეტად სამძიმო და პასუხსაგები საქმეა, და ასეთ მძიმე საქმეს ვერც ერთი ქართველი მასწავლებელი კერძოდ თავს ვერ იდებს.

ამიტომ, ჩვენის აზრით, ქართულის ენის სამოსწავლო პროგრამის შედგენა დაუყოვნებლივ უნდა ითაოს ისეთმა ნდობით მოსილმა ქართულმა დაწესებულებამ, როგორიცაა „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ამ საზოგადოების გამგეობამ, მცოდნე პირების დახმარებით, უნდა შეიმუშაოს ქართულის ენის სასურველი სამოსწავლო პროგრამა, რომელსაც იგივე გამგეობა ამცნობს, როგორც სათანადო სასწავლებლებს სახელმძღვანელოდ, ისე მთელს ქართველ საზოგადოებას გაზეთების საშუალებით.

ამჟამად არავისთვის დაფარული არაა, რომ სამოსწავლო ოლქი ქართველ საზოგადოებას, თუ სულ არა, ძლიერ ნაკლებად მაინც იცნობს და, მაშასადამე, ქართული ენის მასწავლებლის მოწვევის დროს მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნას ამჟამად ნაკლები კავშირი აქვს მასწავლებლის ამა თუ იმ სასწავლებლის დამთავრებასთან. მარტოოდენ ატესტატებისა და დიპლომების მიხედვით კანდიდატის ღირსების დაფასება ქართულის ენის მასწავლებლის მოწვევის დროს მეტად ცალმხრივ და შეუფერებელ საშუალებად გამოდგება.

ამიტომ, საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის, აუცილებლად საჭიროა, რომ სამოსწავლო ოლქი ყოველ კერძო შემთხვევაში ხელმძღვანელობდეს „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ აზრით და მასწავლებლის დანიშვნის დროს ამ აზრის თანახმად იქცეოდეს.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა, როგორც ქართველ საზოგადოების დაახლოვებით მცოდნე კრებული, ყოველთვის ღირსეულ კანდიდატის დასახელებას შეეცდება და მით ქართველ მოწაფეებს არ მოაკლებს საშუალო სკოლაში ქართულ ენის შესწავლის დროს მცოდნე ხელმძღვანელს.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ, თუ ქართული ენის მასწავლებლების მოწვევის საქმეში საოლქო მზრუნველის კანცელარიამ მარტოოდენ თავის შეხედულებით იხელმძღვანელა და სხვა მცოდნე დაწესებულების დახმარებით არ ისარგებლა, ქართულ ენის სწავლება საშუალო სკოლაში, თუნდაც მერვე კლასამდის, სრულიად უნაყოფოდ ჩაივლის. ასეთის სწავლების შემოღება ვერავის ვერ დააკმაყოფილებს,—პირიქით, აწინდელს საქმის მდგომარეობას ერთი-ორად გააუმწვავებს.

ა. მიქაბერიძე.

გაზ. „სინ ოტეჩესტვა“-ს აზრი კავკასიის შესახებ

კავკასიაში გამარუსებელმა პოლიტიკამ, რომელმაც მრავალ-ტანჯულ ქვეყანას აუარებელი უბედურება მოახვია კისერზე, თავი განსაკუთრებით სახალხო განათლებაში იჩინა. ამ პოლიტიკის მეთოდები ყველამ ძალიან კარგად იცის—ეს არის ადგილობრივ სკოლების დაკეტვა, არაბუნებრივ მეთოდის შემოღება რუსულ ენისა და წერა-კითხვის სწავლების დროს, ადგილობრივ ელემენტების მასწავლებელთა რიცხვიდან განდევნა და მათ ადგილას რუსების დანიშვნა; სრული გაბატონება უაზრობით განთქმულის ლევიცკის მუნჯურ მეთოდისა.

შედეგებიც ყველამ ძალიან კარგად იცის. ამისთანა სახალხო სკოლამ მცხოვრებლებში სიძულვილი დაჰბადა და პასსიური პროტესტი გამოიწვია. ეს პროტესტი გამოიხატა იმაში, რომ მცხოვრებლებმა თავისი შვილები აღარ გაჰგზავნეს სასწავლებლებში.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის შარშანდელ ანგარიშშიაც „გამარჯვებისაგან“ გზა-კვალ არეული სამოსწავლო სამმართველო სწერდა: დღეს ოლქის თითქმის ყველა სასწავლებლებში (99,24%) სწავლა-აღზრდის საქმე მხოლოდ რუსულს ენაზე სწარმოებს; ისეთი სკოლები კი, სადაც სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებდეს, **აღარ არისო**“.

ვის რა ენაღვლებოდა, რომ ამისთანა გამარუსებელ პოლიტიკით ეროვნული თვით-შეგნება უფრო იღვიძებდა, რომ რუსულ ენასა და ერისადმი სიძულვილი იბადებოდა,—პოლიტიკა თავის სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმეს განაგრძობდა, და ამასთანავე იზრდებოდა და მაგრდებოდა დამონებულ ერების თვით-შეგნება, რომელიც ბოლოს აქტიურ პროტესტად გადაიქცა.

ამ გზით სიარული აღარ შეიძლებოდა, და, აი, ტელეგრაფმა მოგვიტანა ტფილისიდან ცნობა, რომ იქ დაიწყო სხდომები ქართველ, სომეხ და მუსულმან მასწავლებლებისა სახალხო სკოლებისათვის სამოსწავლო პროგრამის შესამუშავებლად. საფუძვლად ახალ პროგრამას უნდა დაედვას სწავლება სამშობლო ენაზე; რუსული ენა კი უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი. კომისიაში საზოგადო მოღვაწეებსაც მოიწვევენო.

მაშ, აქამდის რაღად შებორკეს სასწავლებელი და ნება არ მისცეს, რომ სკოლას კულტურული ზედ-გავლენა ჰქონოდა მცხოვრებლებზე? ამდენის ხნის განმავლობაში მცხოვრებლები სრულს უვიცობაში რათა ჰყავდათ?

ამ კითხვების გარდა, ადამიანს ორი კითხვა კიდევ ებადება თავში: რატომ ამ პროგრამას მთელს კავკასიაში არ ავრცელებენ? ჩრდილო კავკასიაც ხომ ისეთივე დამონებული ქვეყანაა, როგორიც სხვა, და იმათაც ხომ სულითა და გულით სურთ საკუთარ სკოლის შექმნა?... მეორეც, როგორ მოეკიდებიან კავკასიელები ამ ცვლილებას?

მწარე სინამდვილემ ისინი უნდობლობას შეაჩვია. ვერც გავამტყუნებთ! წარსულ საკანონმდებლო აქტებში ეროვნული სახალხო სკოლა მათთვის უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ გამარუსებელ პოლიტიკის შემოღება მაინც მოსახერხებლად სცნეს.

დანაშაულს ცოლთან... პირიქით, ცოლიც რომ იყოს დამნაშავე, მაშინაც კი ქმარი მოვალეა, ცოლს მიეალერსოს და დაამშვიდოს, ეს კი... ნუ თუ მე იმდენად არ მიგაჩნივართ, რომ ყურადღების ღირსიც არ გამხადეთ? ნუ თუ სულ არ გებრალება, სულ არ გეცოდება შენი ცოლი?.. მე ხომ შენ ისე მიყვარდი—მე ახლაც მიყვარხარ!..

ქმარი. (გულ აჩვილებული წამოდგება, გაზეთი ხელიდან გაუვარდება).

ცოლი. თითქოს მე ბევრს რასმე გთხოვდე! მე მხოლოდ სიმართლე მინდა ვიცოდე: სად იყავ, ვისთან იყავ დღეს სადილად?

ქმარი. ?!?

ცოლი. აბა, როგორ დავიჯერო, რომ სადილმა ნაშუაღამევის ორ საათამდე გასტანა?! არა, მაგას ვერ დავიჯერებ! არა და არა!

ქმარი. (უნდა პასუხი გასცეს).

ცოლი. ვიცი, ახლავე დამიწყებ—ახლა თორმეტის ნახევარიაო,—კარგი, აგრე იყოს! თორმეტი იყოს! რა გაეწყობა, დაგიჯერებ! მაგრამ, განა სადილი თორმეტამდე გასტანს?

ქმარი. (განცვიფრებულია).

ცოლი. მე კი აქ გიცდი და ვიტანჯები... რაები არ მეზმანება: მე მგონია, რომ რაიმე უბედურება შეგემთხვა! ბოლოს, ძლივს მოდიხარ... მე გეგებები აღტაცებით... გეკითხები! (ტირის) და შენ კი... შენ პასუხიც არ მაღირსე!.. (დაეშვება სავარძელზე ტირილით).

ქმარი (შებრალებით შესცქერის).

ცოლი (ტირის). ვაიმე, დედავ, დედილო! რომ იცოდე, რა უბედურია შენი ქალი ქმრის ხელში!

ქმარი (მიუახლოვდება).

ცოლი. თავი დამანებეთ!.. მომშორდით!.. მე სულაც არ მინდა თქვენი ცბიერი ნუგეშის ცემა! თქვენ ხომ ჩემი ცრემლები გნებავდათ? აჰა, გაიხარეთ... გაიცინეთ!..

ქმარი (ბრაზ-მორეული. მოშორდება და ანჩხლად დადის ოთახში).

ცოლი. აგრე, აგრე! იარეთ, იარეთ! თქვენ ფეხებზე გკიდიათ ჩემი მწუხარება!.. სულ კი ჩემი ბრალია! განა დედა-ჩემი არ მარიგებდა—ასე და ასე მოიქეც, შვილო, თორემ ქმარი დაგიბრიყვებსო!..

ქმარი (მეტის მოთმენა არ ძალუძს და გაზეთსა ხევს).

ცოლი. განა ტყუილი ვსთქვი! აი, თქვენ კიდეც დაიწყეთ ალიაქოთი და უწესოება!

ქმარი (მივა მაგიდასთან, წყალს დაასხამს და სვამს).

ცოლი მოგწყურდათ? რატომაც ამ მოგწყურდებათ ამდენის ღვინისა და ქეიფის შემდეგ!.. საბრალო დედა ჩემი, სულ იმას მეუბნებოდა: შვილო, ნინო...

ქმარი (კიდევ დალევს წყალს).

ცოლი, რაო? ვითომ ეს რას ნიშნავს? მე დედა ჩემზე ვლაპარაკობ და თქვენ კი იცინით და წყლით იჯყიპებით! მე ნებას არ მოგცემთ, რომ დედა ჩემი ასე შეურაცხჰყოთ?..

ქმარი. (ბრაზისა და მოუთმენლობისაგან, ხელებს იფშვნეტს და იმტვრევს).

ცოლი. მერე, რა დღე აირჩიეთ ასეთის უკაცრაობისათვის?.. ამ დღეს, დედა ჩემის ოჯახში, ყოველთვის მხიარულად ვატარებდი! (ტირის) ეს დღე უდიდესი დღეა ჩემს ცხოვრებაში. ჩემი დღეობისა და ქორწილის დღეცაა!

ქმარი. (რაღაც უნდა უთხრას).

ცოლი. არა, არა! ნურას მეტყვით! სულ ერთია, თქვენ ტყუილების მეტს ვერაფერს მეტყვით! (სიჩუმე).

ქმარი (გაოცების ნიშნად მხრებს აიწევს და მერე ღიმილით ცოლს შეხედავს).

ცოლი. რა დაგემართა, ყმაწვილო! დამუნჯდი თუ რა არის? მთელი საათია ყურს გიგდებ და შენ კი ხმას არ იღებ!..

ქმარი (ამოიღებს ჯიბიდან ცოლისთვის ძვირფასს საჩუქარს—კოლოფიანად ცოლს გადასცემს).

ცოლი (გახარებული გახსნის). სამაჯური? მეე?! (ათვალიერებს და წარწერას კითხულობს), „ჩემს ნინოს“! აი, თურმე, რა მიზეზით დაგიგვიანია?! (ალერსით, ტრფობით) ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, ჩემო კარგო და ლამაზო! რა გულკეთილი, რა ჭკვიანი და თავაზიანი რამა ხარ, ჩემო ძვირფასო! არა, რატომ ხმას არ იღებდ?!. ოჰ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ! (ეხვევა და ჰკოცნის) *).

ფ ა რ დ ა

ვალ. გუნია.

---

*) ქმარი მთელს პიესაში, თუმცა არაფერს არ ლაპარაკობს, მაგრამ როლი მით უფრო ძნელი შესასრულებელია და მსახიობისაგან მოითხოვს დიდს მიმიკურ მოძრაობას და ხელოვნურ განხორციელებას უსიტყოდ, ხმის ამოუღებლივ დიდს მეტყველებას.

მთარგმნელი.

რასაკვირველია, კავკასიელები იტყვიან: „მოგვეცით გარანტია იმ განახლებისა, რომელსაც მთელი რუსეთი მოუთმენლად მოელის; მხოლოდ მაშინ დავმშვიდებით, მხოლოდ მაშინ ვიქნებით დაიმედებულნი და დარწმუნებულნი, რომ ის, რაც დღეს მოგვეცა, ხვალ აღარ წაგვერთმევა"...

* * *

ბაქოს ქართულ სცენის მოყვარეთა წრის წარსული სეზონი

შემთხვევა მქონდა ბაქოელ ქართულ სცენის მოყვარეთა წრის წლიური ანგარიში გადამეთვალიერებინა. მაგრამ ვიდრე ანგარიშის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა ამ წრის უმთავრესი მიმართულება გაგაცნოთ.

ბაქოელ ქართულ სცენის მოყვარეთა წრე დაარსდა 1904 წელს, მარტის 10-ს. ამ წრეს განსაკუთრებული პროგრამა აქვს. პროგრამა, რომელიც თვალსაჩინოდ განსხვავდება სხვა სცენის მოყვარეთა წრის პროგრამისაგან. იგი უფრო თანამედროვულია, თანამედროვე აზრთა განხორციელების მოტრფიალეა. ამ წრის თითოეულ წევრს დღევანდელი ყოფა-ცხოვრება კარგად შეუგნია, იგი ჩაბმულა საერთო ფერხულში და, სხვასთან ერთად, ცდილობს აუტანელის, საზარელისა და დახავსებულ ცხოვრების გაუმჯობესებას.

სცენის მოყვარეთა წრის უმთავრესი შემოსავალი საწევრო გადასახადია—თვეში 3 მანათი. პირველ ხანად სულ 18 წევრი იყო, წლის განმავლობაში ეს რიცხვი ორმოცამდე ავიდა.

სეზონის განმავლობაში წრეს გაუმართავს 11 წარმოდგენა: არტისტიულ საზოგადოების დარბაზში—4, კლუბში—1 და რკინის გზის საკრებულო დარბაზი—6. ამ 11 წარმოდგენათა შორის—1 წარმოდგენა (გაყრა) საიუბილეო წარმოდგენა ყოფილა, სახსოვრად 40 წლის შესრულებისა ქართულ თეატრის დამფუძნებლის გიორგი ერისთავის გარდაცვალებიდან, დანარჩენი კი სულ—საქველმოქმედო.

არტისტიულ საზოგადოების დარბაზში გამართულ 4 წარმოდგენიდან შემოსულა 1281 მან. 50 კ. კლუბში 1 წარმოგენიდან შემოსულა 449 მან., რკინის გზის საკრებულო დარბაზში 5 სახალხო წარმოდგენიდან, დაკლებულ ჩვეულებრივის ფასებით (5—50 კ.) შემოსულა 241 მან. 95 კ. და 1 წარმოდგენიდან აქვე აწეულის ფასებით შემოსულა 215 მა. 85 კ. სულ 11 წარმოდგენიდან შემოსულა 2187 მან. 95 კ. ამასთან საწევრო ფული ერთის წლის განმავლობაში შემოსულა 101 მან. 50 კ.

შემოსულ ფულიდან, პროგრამის კვალად, საჭირო საქმეს მოხმარდა 887 მან. წრემ შეიძინა სცენისათვის ტანისამოსი, საჭირო რეკვიზიტი და პიესები, რომელზედაც დახარჯულა 208 მ. 60 კ., დანარჩენი 1193 მან. 85 კაპ. დაიხარჯა წარმოდგენების გამართვაში.

მაყურებელთა სტატისტიკა და სეზონის რეპერტუარიც საინტერესოა. 11 წარმოდგენას სულ დასწრებია 3126 მაყურებელი. სეზონის განმავლობაში უთამაშნიათ შემდეგი პიესები: არტისტიულ საზოგ. დარბაზში—„და-ძმა", „ქართველი დედა", „გაყრა", და „ციმბირელი"; კლუბში.—„გაცრუებული იმედები"; რკინის გზის საკრებულო დარბაზში,—„და-ძმა", „არსენა", „მათიკო" „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „ხანუმა" და „უბედური".

როგორც მკითხველიც მიხვდება, წრის თანამედროვე პროგრამას თანამედროვე აზროვანი პიესებიც შეშვენოდა, მაგრამ, თუ ასეთი პიესები არ წარმოუდგენიათ, ამას თავისი განსაკუთრებული მიზეზები აქვს და ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს...

ბაქოელ ქართულ სცენის მოყვარეთა წრეს უმთავრესს მიზნათა ჰქონდა—ფეხზე წამოეყენებინა ბაქოში ოდესღაც არსებული და ბოლოს სადათას ძალით შეპყრობილი ქართულ-რუსული სამკითხველო. წრემ ამ მიზანს მალე მიაღწია და პირველ იანვრიდან გახსნა სამკითხველო, რომელიც არსებობს ტელევონის ქუჩაზე, თვალ-საჩინო ალაგას, მშვენიერად მოწყობილი. წრე ამით არ დაკმაყოფილებულა და თავის მოქმედებისათვის უფრო ვრცელი, თანამედროვე ხასიათის პროგრამა მიუცია, რის გამოც კრებას გადაუწყვეტია: აღმოუჩინოს დახმარება სამკითხველოს, შეძლების გვარად, ე. ი. 380 მან. წელიწადში. უპირატესობა დახმარებაში უფრო სხვა საჭირო საგნებს უნდა ჰქონდესო.

სამკითხველოს ჯერ-ჯერობით 110 წევრი ჰყავს, საწევრო ფული წელიწადში 3 მანათია. სამკითხველოს ხარჯი აქვს თვეში 70 მან. კერძო შემოსავალია (ყულაბი, სადაც მკითხველი სურვილისამებრ აგდებს ფულს) თვეში 12—15 მან. „ივერიის" № 111 დაბეჭდილია ცნობა ვითომც სამკითხველოს მარტო საწევრო ფული და ხუთი ქართველის საკუთარი ჯიბე ინახავდეს, სიმართლეს მოკლებულია).

ბაქოელ ქართულ სცენის მოყვარეთა წრეს სათავეში უდგია ბ-ნი დ. თედეშვილი და, რამდენადაც ეს დაუღალავი მუშაკი მადლობის ღირსია, იმდენად საყვედურის ღირსნი არიან მსახიობნი ქქ. ეფ. მესხი და ქ. ანდრონიკაშვილისა.

ქ-ნ ეფ. მესხს ერთ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღების შემდეგ წრისათვის განუცხადებია: „თუ მომავალს წარმოდგენას გამართავთ ჩემის დისწულის სასარგებლოდ, რომელიც დრამატიულ კურსებზეა გაგზავნილი, ყველა წარმოდგენებში მონაწილეობას სიამოვნებით მივიღებ, თუ არა-და, მომავალში ჩემი იმედი ნუ გექნებათო. „წრეს იამოვნებით დასთანხმებია ამ პირობაზე, მაგრამ, სავალალოდ, იმედი გაუცრუვდათ და ქ-ნ მესხის დისწულის სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვის შემდეგ, როდესაც ქ-ნ ეფ. მესხს მიუღია 179 მან. 60 კ., ქ-ნ მესხს მხოლოდ ორჯერ-ღა უთამაშნია და შემდეგ უარი უთქვამს.

ქ-ნ ანდრონიკაშვილისას 8 წარმოდგენაში მიუღია მონაწილეობა. ამათ შორის სამში უფასოდ, ხოლო ხუთში აუღია 100 მან., ე. ი. გამოსვლაში 20 მან. ამგვარი გულციეობა წმინდა საქმისადმი ხსენებულ მსახიობთ არ შეჰფერით, მით უმეტეს, რომ მათ კარგად იციან, რა სიმპატიურ მიმართულებას ემსახურება ახალგაზდათა ეს პატარა ჯგუფი.

ვერ-მიცანი.

რუსეთი

პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა სხვადასხვა **სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის** მცხოვრებნი, ერთ კვირის განმავლობაში, 12,397 მანათით დააჯარიმა (რ. ვ).

◆ ლიბავიდან „რაზსვეტს" ატყობინებენ: ქალაქში მეტის-მეტად **გავრცელდა ტერორი**. 10 ივლისს ერთი ჟანდარმი მოჰკლეს და მეორე დასჭრეს. იმავე დღეს დიდი სისხლის ღვრა მოხდა სალდათებსა და მუშებს შორის. იმავე დღეს, საღამოს, მძიმედ დასჭრეს ვინმე სამცოვი, რომელსაც ენა-ტანიობას აბრალებდნენ. ერთის საათის შემდეგ დასჭრეს საპოლიციო უბნის ზედამხედველი. მეორე დღეს ერთი მოჰკლეს და ორი დასჭრეს (რ. ვ.).

◆ 21 ივლისს პეტერბურგის მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე ვასილიევისა, რომელსაც საპოლიციო უბნის ზედამხედველის, კავოლინის მოკვლა, ჰბრალდებოდა. ვასილიევს წინა დღეებში სამხედრო სასამართლომ **ჩამორჩობა გადაუწყვიტა.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ საქმის განხილვის შემდეგ განაჩენი დაამტკიცა და სასამართლოს ხარჯიც სიკვდილით დასჯილს დააკისრა! (რ. ვ.).

◆ ამას წინად იურიევის უნივერსიტეტმა, ერთსა და იმავე დროს, საპატიო წევრად აირჩია **იოანე კრონშტადტელი და ლევ ტოლსტოი.** ამ ფაქტით მშვენივრად მტკიცდება, რომ პროფესორები, წევრების არჩევის დროს, არაფრით არა ხელმძღვანელობენ. როცა ეს ამბავი კრონშტადტელმა გაიგო და საპატიო წევრად არჩევის ქაღალდი მიიღო, შემდეგი წერილი მისწერა უნივერსიტეტს: „საკვირველია საქციელი პროფესორებისა, რომელთაც თავიანთ სულ-მოკლეობით ქრისტეს გამცემ იუდას—ტოლსტოის—წინაშე მონურად მოიხარეს ქედი. ვისაც ტოლსტოისთან აქვს რაიმე დამოკიდებულება და ვინც სალამს აძლევს მას, ის სიბოროტეს სჩადის. მადლობას ვუხდი უნივერსიტეტს პატივისცემისთვის, მაგრამ ულვთო ტოლსტოისთან ერთად საზოგადოებაში ყოფნა არა მსურს. დეკანოზი იოანე სერგიევი (რ. ვ.).

◆ სარატოვის გუბერნიის გლეხებმა გუბერნატორს სთხოვეს: განკარგულება მოახდინეთ, რომ ბეგარაში თავად-აზნაურებმა და კერძო მემამულეებმაც მიიღონ მონაწილეობაო; მაგრამ გუბერნატორმა უარი უთხრა. შემდეგ გლეხებმა სთხოვეს, მოსავალი არ მოგვსვლია, გუბერნიაში სიმშილობა ჩამოვარდა და შუამდგომლობა გაგვიწიეთ, რომ გადასახადები გვადროვონო. გუბერნატორმა **ამაზედაც უარი უთხრა** (რ. ვ.).

◆ ოდესის ქალაქის საბჭომ დაადგინა: ვთხოვოთ მთავრობას, რომ სამხედრო წესი გაუქმდესო, მაგრამ გენერალ-გუბერნატორმა ყარანგოზიშვილმა თხოვნის გაგზავნის ნებართვა არ მისცა და დაჰპირდა, **სამხედრო წესი, სულ ცოტა, 6 თვეს კიდევ გასტანსო.** იმავე საბჭომ დაადგინა, თავ. ტრუბეცკოის სიტყვა ხელმწიფისადმი და ხელმწიფის პასუხი დავბეჭდოთ და ხალხში გავავრცელოთო, მაგრამ გენ.-გუბერნატორმა არც ამის ნებართვა მისცა (რ. ს.).

◆ 23 ივლისს ეკატერინოდარში დაასაფლავეს 20 ივლისს **დახოცილი მუშები.** დასაფლავებას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. დახოცილთა კუბოები სულ წითელ გვირგვინებით იყო დაფარული (რ. ს.).

◆ ხმა დადის, 30 ივლისს, მემკვიდრის დაბადების დღეს, მოსკოვში **საერო წარმომადგენელთა მოწვევა დიდის ამბით გამოცხადდებაო.** ზოგნი ამბობენ, ეს ამბავი 6 აგვისტოს მოხდებაო, ზოგნი კი—11-საო (რ. ვ.).

◆ პეტერბურგში ხმა დადის: რუსეთში **მინისტრთა კაბინეტი უნდა შემოიღონო.** ამ ახალ დაწესებულებას მიენდობა განხილვა იმ კანონპროექტებისა, რომელიც სახელმწიფო რჩევაში უნდა შეიტანონ განსახილველად. ფაქტიურად ისე გამოვა, რომ ყოველი კანონი ჯერ მინისტრთა კაბინეტმა უნდა განიხილოს და მერე რჩევამ. ამბობენ, მინისტრთა კაბინეტის თავჯდომარედ სვიატოპოლკ-მირსკის ნიშნავენო (რ. ს.).

◆ უცხოეთის გაზეთებში დაბეჭდილია მინისტრთა საბჭოსაგან მოწონებული **საარჩევნო კანონი**, რომლის ძალითაც არჩევნები არც პირდაპირი იქნება და არც ორკეცი, არამედ სამ და ოთხკეცი. ამგვარი საარჩევნო წესი ჯერ არცერთ სახელმწიფოში არ არსებობს (რ. ს.).

◆ რუსეთის ზარაფხანაში გაცხარებული მუშაობაა. ამ მოკლე ხანში რამდენისამე ათ მილიონ მანათის **ქაღალდის ფულს გამოუშვებენ** (რ. ს.).

◆ **პრესსის თავისუფლება.** ჟურნალ „რუსსკაია მისლ"-ის ივლისის ნომერი ცენზურამ ტოლსტოის წერილის გამო დაიჭირა. ეს წერილი—„დიდი უსამართლობა"—დაიბეჭდა ინგლისურ გაზეთ „ტაიმს"-ში.

◆ ვარშავის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, პოლონურ **გაზეთებს ცენზურამ უარესად მოუჭირა ხელი** (რ. ს.).

◆ პოლტავის ერობამ შინაგან საქმეთა მინისტრს იაფ-ფასიან სახალხო გაზეთის ნება-რთვა სთხოვა; მაგრამ **უარი მიიღო** (რ.).

◆ გაზეთი „პოლტავშჩინა", დღეს თუ ხვალ, უნდა მოისპოს. ამ გაზეთის მოსასპობად პოლტავის ცენზორმა განსაკუთრებული ზომები მიიღო და ყოველ-დღე ათას სტრიქონზე ნაკლებს არა შლის. მეორე გაზეთს—„პოლტ. ვედ."-ს **მთავრობამ ფულით დახმარება აღმოუჩინა,** „პატრიოტულ" აზრების გავრცელებისათვის. (რ. ს.)

◆ გაზეთ „ნოვაია ზარია"-ს უკანასკნელ ნომერში ერთი წერილია დაბეჭდილი, სათაურით—„ღმურა", მაგრამ თვითონ **წერილის მაგიერ** გამოცხადებულია, რომ გაზეთი „ნოვაია ზარია" წლის დამლევამდე ამდენი და ამდენი ღირსო (ნ. ჟ.).

◆ გაზეთ „ნაშა ჟიზნ"-ის რედაქტორ-გამომცემელი ლ. ხოდსკი, 25 წლის განმავლობაში, პროფესორად იყო პეტერბურგის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებელში. ახლა საერო განათლების **მინისტრმა შეატყობინა ხოდსკის, დღეიდან გამორიცხული ხართ პროფესორობიდან,** რადგან თქვენი ხელობა—ჟურნალისტობა—პროფესორს არ შეეფერებაო (ნ. ჟ.).

◆ ჟანდარმთა პოლკოვნიკის, კრამარენკოს მკვლელი, შვედი პროკოპე, სამხედრო სამართალში უნდა მიეცა რუსეთის მთავრობას, მაგრამ ამას **წინ აღუდგა ფინლიანდიის სენატი,** რომელმაც განაცხადა, ფინლიანდიის კანონების ძალით, პროკოპე ფინლიანდიის სასამართლომ უნდა გაასამართლოს და ისიც სამხედრომ კი არა, არამედ სამოქალაქომაო. ფინლიანდიის სენატის განცხადება შეწყნარებულ იქმნა (რ. ს.).

◆ რუსეთის მთავრობამ დაადგინა,—დღეის იქით **ფინლიანდიელი პოლიტიკური დამნაშავენი** რუსეთის კანონებით დაისჯებიან და არა ფინლიანდიისაო ფინლიანდიის სენატმა ითხოვა, ეგ წესი გააუქმეთ და ამ საქმეების განხილვა ისევ ფინლიანდიის სასამართლოს მიანდეთო, მაგრამ ეს თხოვნა არ შეიწყნარეს (რ. ვ.).

◆ ნიჟნი-ნოვგოროდში **გენერალ-გუბერნატორობა** შემოიღეს (რ. ს.).

კორესპონდენცია

ქ. გორი. გლეხობამ გამოუცხადა ყველა თავად-აზნაურს ბოიკოტი, განურჩევლად შეძლებისა, მდიდარსაც და ღარიბსაც. თუმცა გლეხობამ კარგად იცის, რომ თავად-აზნაურობის ღარიბი ნაწილი მათზე ნაკლებ არა მუშაობს და ხელ-მოკლეობით ხომ გლეხებსაც კი აჭარბებს, მაგრამ, რადგანაც ეს ღარიბი თავად-აზნაურობა „რაზმში" ჩაეწერა, ამიტომ სამაგიეროს უხდიან. სწორედ ახლა უჭირდა თავად-აზნაურობას გლეხის ხელი. ვინც მოურიგდა და შეუთანხმდა, ხომ გლეხობამაც ბოიკოტი აჰხსნა, ვინც არ მოურიგდა და —იმათ თვითონ უნდა ეზრუნათ თავის თავისათვის. რაკი მომმკელი მუშა ვეღარ იშოვეს, ახლომახლო სოფლების თავად-აზნაურობამ მოახერხა და ხუთი სამკალი მანქანა გამოიწერა, რაიცა უკვე მოიღეს. ეს მანქანა დღეში, როგორც ამბობენ, უევარ ხარითა და სამის კაცით თხუთმეტ დღიურს მკის და თან ძნასაც ჰკრავს. ვისაც წინად ქეიფისა და ხმალხანჯლის მეტი არა ადარდებდა-რა, ახლა მოსდგომია ხარებს და ერეკება, ან ზედ უზის და ძნას ჰკრის.

— ეი, აქეთ მოდი, ხარო, იქით მიდექ, ხარო!

— გამოიარე, შე ოხრია!

— კვალს ნუ სტოვებ, კამეჩო! —გაიძახიან ისინი, ვინც თავის დღეში სიცხეში ცარიელის ხელითაც კი არ გამოსულან და ახლა სიცხეც უნდა აიტანონ და თან უნდა იმუშაონ კიდეც.

დიდი ხანია, რაც სთქვა ჩვენმა გლეხმა და გააფრთხილა მცონარა მუქთა-ხორები:

„ვისაც ვერ გასძლოს: სიცივე,
ზაფხულში დენა ოფლისა,—
წავა და გადავარდება
მოძულებული სოფლისა"-ო.

მაგრამ ვინ იყო მაშინ გამგონე. ეჰ, სხვა რაღა ეთქმით, „გადამხდა გადასავალი, სხვას უარესსა მოველიო".

ერთი თორტელი აზნაური შემომჩიოდა: დალოცვილო, ისეთებმა აიღეს ცელები,—რომლებსაც თავის დღეში ცელ-ნამგალი ხელშიაც არა სჭერიათ. ერთმანეთსა გვშველით, დღეში ხუთ მანათის საქმეს არ ვაკეთებთ და ხუთ მანათის ცელებს კი ვამტვრევთო. მართლაც, ერთი კონა დამტვრეული ცელები მოიტანა მჭედლთან დასაკეთებლად.

— ე დალოცვილი ჩვენი დიდი ტუზები (დასასხელად რამდენიმე დიდი მემამულე თავადი), წინად რომ გზაზე შემხვედროდნენ, სალამი რომ მიმეცა, სამაგიეროს არც კი მაღირსებდნენ, დღეს კი, რაკი ჩვენი თავი გაუჭირდათ, შორიდანვე გვიხდიან ქუდებსაო. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, იმათი სალამი რად მინდა, ნეტა ე გლეხობას მოურიგდნენ, რომ ჩვენც იმათთან არ ვიჭყლიტებოდეთო. „აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გაჭყლიტესო", ჩვენც ისე მოგვდის.

ბევრს ათი დღისაც არა გვაქვს და გლეხი, აბა, ჩვენ რა ხმას გაგვცემს, მაგრამ დიდებისაგან გაჯავრებულები, ჩვენც თან გვატანენო.

კაცო, ჩვენ მაგათზედ ღარიბები ვართ და, ცარიელ აზნაურობას, ვისაც უნდა, ნისიად მივართმევთო.

მართალია, საერთოდ სამკალი მაშინები გამოიწერეთ, მაგრამ გვეშინიან, დიდრონებმა არ წაიღონ პირველად და ჩვენ ისევ ისე არ დავრჩეთ. ხო მოგეხსენებათ: რწყილს ნესტარი ჰკრეს, შირიდაც ეგო და ღიხინებდაო. ყანები რომ თავის დროზე არ დავაბინავოთ, ჩვენც რწყილის დღე დაგვადგებაო.

ოცდაათს ამ თვეს აქ დანიშნულია მედავითნეების კრება. მთელის ქართლის მღვდლებმა მოაწერეს ხელი, რომ ამას იქით მეოთხედის მაგივრად, შესამედი მისცენ მედავითნეებს, რადგან ეს უკანასკნელნი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობენ.

ამ სამის დღის წინად სოფელ კარალეთში, დღე, თავისსავე ვენახში მძინარე ვიღასაც მოეკლა ამ სოფლის მცხოვრები გლეხი გუმანაშვილი. საწყალი, სულ რამდენიმე კვირაა, რაც ციხიდან გამოუშვეს. სოფელში ერიდობის მეთაურობის ბრალსა სდებდნენ. მერე, გორში რომ თავადი ამილახვარი მობძანდა და გლეხები დაიბარა, კარალეთის მხრივ გაგზავნილი იყო ეს გუმანაშვილი და ერთი კიდევ სხვა სოფლის კაცი. როცა გენერალს ეკითხნა, რათა „ბუნტობთ", რა გიჭირთო, გუმანაშვილის ამხანაგს გლეხს მოეხსენებინა: „არაფერიც არა გვიჭირს-რაო: ყველაფრით კმაყოფილები ვართ, ჩემთვინ ქვაცა მაქვს და კაკალიცა, არაფერსაც არა ვთხოულობ, როგორც აქამდე ყოფილა, ამას იქითაც ისე მანდა იყოსო". გუმანაშვილს ძალიან სწყენოდა ამხანაგის საქციელი და იქვე ეთქვა: „შენ იმიტომ კი არ გამოგგზავნა სოფელმა, რომ შენი გრძნობები და შენი ამბავი მოახსენო თავადსა, შენ სოფლის გაჭირვება და სოფლის მოთხოვნილება უნდა მოახსენოო. ეს ამბავი გაიგო სოფელმა და, როგორც ერთობაზე ძალიან მაგრა მდგომმა, იმ პირს უკმაყოფილება და ზიზღი გამოუცხადა. ახლა სოფელი გაფაციცებით ეძებს მკვლელს. ეჭვი ამხანაგზედა აქვთ. საწყალს ექვსი წვრილ შვილი, ცოლი და დედა დარჩა.

აქედან ტფილისში მზრუნველისაგან მოწვეულ მასწავლებელთა კომისიაში დასასწრებლად გაჰგზავნეს სემახარისთან არსებულ სომხის დაბალ სკოლის მასწავლებელი ტერ-არუთინოვი, მუნჯურ მეთოდის ფრიად მოტრფიალე.

რ. ოდეთ.

* * *

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

28 ივლისი.

პორტსმუტი, 27 ივლისი. ვიტტემ და კომურამ სტატს-სეკრეტარ პრისის ამხანაგი ინახულეს და სთხოვეს,—თათბირობის დროს საზღვაო არსენალის შენობაში გარეშე მაყურებლებს ნუ შემოუშვებთო. დელეგატთა შორის დღითი-დღე ამხანაგური განწყობილება მყარდება. რუსეთ-იაპონიის დელეგატთა საუბარი სალაპარაკო საგნად აღარ არის გამხდარი.

გოძიადანი, 28 ივლისი. ფრონტზე მზვერავ რაზმებს შორის უმნიშვნელო შეტაკება ხდება. იაპონელები ბრძოლას ერიდებიან, ბევრს ადგილას ჩვენს ჯარს მათს სიახლოვეს უშვებენ, მერე გამოდიან თხრილებიდან, ქუდებს უქნევენ და უყვირიან: უკან გაბრუნდით, აღარ გესვრითო. იაპონელები პროკლამაციებს ავრცელებენ რუსების ჯარში და ურჩევენ, ნუღარ ვიბრძოლებთ, რადგან 30 ივლისს შერიგება უნდა მოხდესო.

სიტიაზა, 28 ივლისი. 23 ივლისს, ღამე, მოხალისეთა რაზმმა იაპონიის ბანაკები დაზვერა, შახეძის მახლობლად სათივეები დასწვა და სილაილიხის მარჯვენა ნაპირზე მტერს ჩაუსაფრდა. მალე იაპონელი მოდარაჯენი წააწყდნენ თავს, მაგრამ უკუ-იქცნენ და ერთი მოკლული დასტოვეს. ტაულუს სამხრეთით, უღელტეხილზე, მოხალისეთა რაზმმა შეამჩნია, რომ იაპონელთა ერთი ბატალიონი საიერიშოდ ემზადებოდა. მცირე სროლის დროს მძიმედ დაიჭრა პოდპოლკოვნიკი გუდიმა-ლოვკოვიჩი. მარჯვენა ფრთეზე მტრის პოზიციებს ზვერავენ.

პორტსმუტი. ზავის პირობებზე ჯერ ლაპარაკი არ აღძრულა. მოსალოდნელია, რომ ხვალ წარმოადგენენ პირობებს. რწმუნებულნი დღეში ორჯერ შეიკრიბებიან. პირველი კრება ხანგრძლივი არ იყო. რწმუნებულთა უფლებანი საკმარისად იცნეს. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, სამხედრო და საფინანსო მრჩეველთ ერთად ექნებათ მოლაპარაკება, თუ ცალ-ცალკე.

პეტერბურგი, 28 ივლისი. „მთავრობის მოამბეში" დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ საგლეხო საადგილ-მამულო ბანკების მოქმედება კვლავ განახლდეს. ახალის დებულების ძალით, საგლეხო საადგილ-მამულო ბანკი მოქმედებას შეუდგება და გლეხებს შეაძლებინებს, რომ მიწები სესხით საკუთრებად შეიძინონ. ბანკს ნება ექნება, გლეხებზე გასცეს სესხი 55 წლ. და 6 თვის ვადით. სარგებელი ას მანათზე—5 მან. და 75 კ. განისაზღვრება.

პეტერბურგი. ამბობენ, ფინლიანდიის სეიმის კორპორაციები აპირობენ უმაღლესს სახელზე პეტიცია გაგზავნონ იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას ყველა საკანონმდებლო განკარგულებანი, რომელიც სეიმის განუხილველად გამოუცხადებიათ.

ლონდონი. ინდოეთიდან იუწყებიან, კერზონსა და კიტჩენერს შორის უთანხმოება იმდენად გამწვავდა, რომ ერთი-ერთი მათგანი სამსახურიდან უნდა გადადგესო.

სიმფეროპოლი, 27 ივლისი. ხელოსნებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ სახელოსნო სასწავლებლებს საქმის დაკვეთა აეკრძალოთ, რადგანაც მუქთა ხელით (შეგირდებით) სარგებლობენ და ფასებს ისე ამცირებენ, რომ მათთან მეტოქეობა ვეღარ გაგვიწევიაო.

პარიზი, 28 ივლისი. გაზ. „ტან."-ს ბერლინელი კორესპონდენტი დეპეშით ატყობინებს: „გერმანიის ბანკირებმა მაროკოს სულთანს 10 მილიონი მარკა (480 ათასი თუმანი) ასესხეს. გერმანიის მთავრობამ საფრანგეთისას შეუთვალა, ეს სესხი არავითარს პოლიტიკურს და ეკონომიურს უპირატესობას არ შეგვძენსო. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო კი იუწყება,—ამ საქმის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვსო".

პეტერბურგი, 28 ივლისი. 9, 10 და 11 ივლისს ნიჟნი-ნოვგოროდში მომხდარ უწესოების შესახებ პოლიციის დეპარტამენტმა დაწვრილებითი დამატებითი მოხსენებანი მიიღო და საყოველთაოდ აცხადებს, რომ დემონსტრანტ-აგიტატორებთან ბრბოს 9 ივლისსაც უნდოდა შეტაკებოდა, მაგრამ მიღებულ ღონისძიებით თავიდან აიცდინესო; ნამდვილად მხოლოდ 10-სა და 11 ივლისს მოჰხდა ბრბოს შეტაკება დემონსტრანტ-აგიტატორებთან. ამ ორ დღეში მოკლულ იქმნა 7 კაცი, მძიმედ დაიჭრა 17 და 16 მსუბუქად. 17 კაცს ჭრილობა შეუხვიეს; აგიტატორების მიერ რევოლვერებით დაჭრილთაგან 3 მოკვდა, 2 გლეხი და ერთი მდაბიო მეზღვაური, დაიჭრა რამდენიმე. მოკლულ აფთიაქრის გენცეს არეულობაში მონაწილეობა მტკიცდება პოლიციის მოწმობითა და მისგან დაჭრილის მეეტლის ჩვენებით. გენცეს რომ უწესოებას ხელმძღვანელობდა, ამას ამტკიცებენ ის გარემოება, რომ, სხვებთან ერთად, 9 ივლისს მან კადნიერულად მიჰმართა პოლიციის ბოქაულს და მოსთხოვა,—ჯარები მოგვაშორეთ თავიდან და, სიტყვას გაძლევთო, რომ დემონსტრანტები მშვიდობიანად დაიშლებიან და თავთავიანთ სახლებში წავლენო.

პეტერბურგი. გაზეთები იუწყებიან, პეტერჰოფში თათბირი ჰქონდათ და, ამბობენ, საერო წარმომადგენლობის პროექტში ძირითადი ცვლილება შეიტანეს იმის შესახებ, რომ საბჭოში გლეხობას საკმაო წარმომადგენლები ჰყავდეთ, თავიანთ შორის არჩეულნი. ამ ცვლილების მტკიცე მომხრენი იყვნენ დიდი მემამულენი, თუმცა იმათ მაღალ ბიუროკრატიის გავლენიანი წარმომადგენლები მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ. გლეხთა ინტერესების მცველთაგანნი მეტად მკაცრად ეპყრობოდნენ მოწინააღმდეგეებს და ამის გამო ერთი წარჩინებულ პირთაგანი საბჭოს უკანასკნელ კრებაზე ვეღარ მოიწვიეს. იუწყებიან, სახელმწიფო საბჭოში 491—495 წარმომადგენელი იქმნება და არჩევნებიც ორკეცი, მცხოვრებთა ჯგუფებად გაყოფით და წოდებრიობის განურჩევლად, გარდა გლეხობისა, რომელიც წარმომადგენლებს ირჩევს თვის შორის სამკეც არჩევნებით. ჯგუფი, გარდა გლეხობისა, ორი იქმნება—ქალაქის ამომრჩევლები, რომელთაც საქალაქო არჩევნებზე ეხლაც კენჭი აქვთ, და სოფლის მემამულენი, რომელთაც საერობო არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ. ყოველ მაზრიდან განსაზღვრულ რიცხვს აირჩევს და საგუბერნიო საარჩევნო კრებაზე შეერთდებიან ერთ ჯგუფად, გლეხთაგან არჩეულებითურთ. სავალდებულო იქმნება, რომ ყოველ გუბერნიის წარმომადგენელთა შორის ერთი მაინც ისეთი იყოს, რომელიც გლეხების არჩეულია. რადგან ამისთანა წარმომადგენლები უფრო ბევრი უნდა იყოს, ვიდრე სხვა ჯგუფების ამორჩეულები, მოსალოდნელია, რომ ყოველ გუბერნიას რამდენიმე გლეხთაგანი ეყოლება წარმომადგენლად. ყოველ გუბერნიის წარმომადგენელთა რიცხვი თანაბარი არ იქმნება. ეს იმაზეა დამოკიდებული, სად რომელ ჯგუფს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. არა-რუსთა ინტერესებიც არ არის დავიწყებული, მათ შორის ებრაელებისაც, რადგან მათ ყოველ ქალაქის არჩევნებში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ. სამეცნიერო საზოგადოებასა და კორპორაციებს ცალკე წარმომადგენლები არ ეყოლებათ. სახელმწიფო საბჭოს კრებები, საფიქრებელია, გატჩინაში გაიმართება.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში,
აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

დაიბეჭდა და იყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისთვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გაბრუაშვილისა. იყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—20)

ხუთი ახალი წიგნი
წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები:
შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 43 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ევნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.
და სხვა ყოველგვარი წიგნები.
მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა". სოსიკო მერკვილაძე. (20—13)

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

დაარსდა ახალი საწყობი კახურის ღვინისა
შემდეგის ფირმით:
კახეთის მევენახეთა ამხანაგობა
„ძმობა"
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრჟანსკისა.
ტელეფონი № 1036.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 іюля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.